წმინდა ნინო

ქართულ პოეზიაში

თბილისი
2013

წიგნი გამოდის თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის
მიტროპოლიტ თადეოზის (იორამაშვილი) ლოცვა-კურთხევით

ლექსების კრებული “წმინდა ნინო ქართულ პოეზიაში” გამოიცა **ქრისტიანული პოეზიის III ფესტივალის “წმინდა ნინოს ჯვარი”** ფარგლებში.

შემდგენელ-რედაქტორი
აკაკი დაუშვილი

©გამომცემლობა “ქაღალდის წერო”, 2013

ISBN 978-9941-9333-0-1

წიგნის გარეკანზე:
წმინდა ნინოს ხატი.
მხატვარი **რეზო ადამია**

წიგნი დაიბეჭდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.

წმინდა ილია მართალი (ჭავჭავაძე)

ქართველი ერი და ღვაწლი წმინდა ნინოსი

14 იანვარი ყოვლად-სადიდებელი დღეა ყოველის ქართველისათვის. ამ დღესა უქმობს, ამ დღესა დღესასწაულობს საქართველოს ერი და ეს დღეა დღე მიცვალებისა ჩვენის განმანათლებლის მოციქულთა სწორის წმინდა ნინოსი. ამ ჩვენს ღვთისმშობლის წილხვდომილს ქვეყანას ღვთისმშობლისავე ლოცვითა და კურთხევით მოევლინა ზეგარდმო შთაგონებული წმინდა ქალწული, გადმოლახა თავის უძლურის ფეხითა მთანი და კლდენი, მოვიდა იქ, "სადაცა ღმერთნი ღმერთობდნენ და მეფენი მეფობდნენ", პირქვე დაამხო სალოცავნი კერპთმსახურებისანი და მათს ადგილას აღმართა ჯვარი ქრისტესი, ჯვარი პატიოსანი.

საქართველოს ერმა გადაიხსნა გული, შიგ განიბნივა იგი ჯვარი პატიოსანი და თვითონაც ჯვარს ეცვა და არავის კი არ შეარყევინა არც თავისი გული და არც გულში ღრმად და მკვიდრად გაბნეული ჯვარი. მას აქეთ თხუთმეტი საუკუნე გულში ჯვრით და ხელში ხმლით იბრძოდა, იღვწოდა, სისხლსა ჰღვრიდა ქართველი კაცი და ნათელი ბნელზედ ვერავინ შეაცვლევინა.

ჩვენი ისტორიის სახელი და დიდება, ჩვენთა დიდებულთა წინაპართა სასწაულმოქმედი მხნეობა, თავგანწირვა, თავდადება, ვაჟკაცობა სულ იმ ნათლით არის გასხივოსნებული, იმ შარავანდედით არის მოსილი, რომელიც "ძელმა ჭეშმარიტებისამ", წმინდა ნინოს მადლით და ღვაწლით აღმართულმა, მოჰფინა მთელს ჩვენს ქვეყანას. ამ ძელზე სხივოსანის ასოებით, ქრისტეს წმინდა სისხლით დაწერილი იყო და არის იგი მცნება, რომელიც უდიდესია ყოველს მცნებაზედ: "გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი".

ამ მცნების მოძღვარს ეთაყვანა ჩვენი ქვეყანა, იგი აღიარა ღმერთად და იმას აუნთო თავისი გული წმინდა სანთლად, რომელიც დღეს აქამომდე არ გამქრალა და არც გაჰქრება, მანამ არ გაჰქრება თვითონ ქართველიცა. ამ კაცთმოყვარე ღმერთისათვის იწამა ჩვენი ქვეყანა, ამას ანაცვალა, მას შესწირა ყოველივე, რაც კი ადამინს საბედნიეროდ აქვს მონიჭებული, ეკლის გვირგვინი დაიდგა თავზედ, თხუთმეტი საუკუნე გულგაუდრეკლად ატარა თავპირდასისხლიანებულმა ჩვენს დრომდე შეუმწიკვლელად მოიტანა და ტანჯულმა და წამებულმა ჩვენ, შვილებს, გადმოგვცა, _ ეხლა თქვენ იცითო.

ეკლის გვირგვინია, მაგრამ თვალმარგალიტით მორთულს გვირგვინს რითი ჩამორჩება? გვირგვინი წამებისა ჭეშმარიტებისათვის, კაცთმოყვარებისათვის, გვირგვინი წამებისა მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა ნუგეშისათვის, გვირგვინი წამებისა ერთმანეთის ძმურად და სიყვარულით განკითხვისათვის. მშიერთა, მწყურვალთა, სნეულთა, საპყართა და პატიმართა შველისა და ხსნისათვის, ობოლთა, ქვრივთა, უპატრონოთა შეწყნარებისათვის, ნუთუ ყოველივე ეს იგივ თვალ-მარგალიტები და უკეთესნიც არ არიან?

დიდი წამება დიდბუნოვნების ნიშანია, როგორც დიდი ძლევამოსილება. დიდი წამება იგივ დიდი გამარჯვებაა, რომელიც წილად ხვდება ხოლმე დიდბუნოვანს კაცსა, ხოლო გამარჯვებული ბედნიერია იმიტომ, რომ თვითონაც სტკბება მით, რაც გამარჯვებას მოაქვს, და წამებული კი თვით იწვის სანთელსავით და სხვას კი გზას უნათებს.

ამიტომაც ეკლიანი გვირგვინი წამებულისა უფრო უანგაროა, უფრო მიმზიდველია, უფრო საგულმტკივნეულოა და, მაშასადამე, უფრო მშვენიერი, სასახელო და სადიდებელი. მარტო ამ წამებულთა ჰლოცულობს კაცობრიობა, მარტო ამ წამებულთა აღიარებს იგი წმინდანებად და თაყვანს სცემს ლოცვითა და კურთხევითა.

ეკლიანი გვირგვინი, ჩვენს დღემდე მოტანილი ჩვენთა წინაპართაგან, ამ მშვენიერებითა ჰშვენის, ამ სახელითა სახელოვნობს, ამ დიდებით ჰდიდებულობს. თუ ვისმე სამართლიანად ეთქმის, რომ თვით დაიწვნენ და სხვას კი გზა გაუნათესო, ეს ჩვენს მამა-პაპას ეთქმის და მადლობელნი შვილნი ლმობიერებით პირქვე უნდა დავემხოთ მათ საფლავთა წინაშე და ვუგალობოთ დიდება დიდებულთა და ქება ქებულთა.

ამ სამართლიან ქება-დიდებისათვის სხვა უკეთესს დღეს ვერ ამოირჩევს ქართველი, თუ არ დღეს, ჩვენის განმანათლებლის სახსოვრად დაწესებულს. მოგვევლინა წმინდა ნინო, გვამცნო და გვასწავლა ქრისტეს რჯული და ახალმა მშვენიერმა აღთქმამ განაახლა ჩვენი ქვეყანა ახალის ცხოვრებისათვის. ქართველმა ამ რჯულს, ამ ახალს აღთქმას, შეუერთა ძველისაგან ყოველივე ის, რაც-კი რამ ძვირფასია ადამიანისათვის და რაც თავის-დღეში არ დაძველდება, მინამ ადამიანი არსებობს: შეუერთა მამული და ეროვნება. ეს სამი ერთმანეთის ღირსი საგანი ისე ჩაიწნენ, ისე ჩაქსოვდნენ ერთმანეთში, რომ რჯულის დაცვა საქართველოს მიწა-წყლის დაცვად გარდაიქმნა და მიწა-წყლის დაცვა _ რჯულის დაცვად. რჯული ჩვენი მამულის, ჩვენი ეროვნების ხმლად იქცა ზედმისევისათვის და ფარად ზედმოსეულთათვის.

ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში ჰნიშნავდა მთელის საქართველოს მიწა-წყალს, ჰნიშნავდა ქართველობას. დღესაც, მთელს ამიერკავკასიაში ქართველი და ქრისტიანი ერთისა და იმავეს მნიშვნელობის სიტყვები არიან. გაქრიასტიანების მაგიერ გეტყვიან: გაქართველდაო. ჩვენმა სამღვდელოებამ კარგად იცოდა, რომ მამული და ეროვნება, რჯულთან ერთად შეერთებული, რჯულთან შეხორც-შეთვისებული, უძლეველი ხმალია და შეულეწელი ფარია მტრისა წინაშე. სიტყვას ქადაგებისას, სწავლას, მოძღვრებას იგი სულ იმაზედ მოაქცევდა ხოლმე, რომ მამული და ეროვნება რჯულამდე გააპატიოსნოს, სარწმუნოებამდე აღამაღლოს, ასწიოს და ყოველივე ამ სამს წმინდას და უდიდეს საგანს, ერთად შეერთებულს, თავდადებით ამსახუროს, თავგანწირვით ამოქმედოს.

აი, სად რაში ჰპოულობდა ჩვენი უწინდელი სამღვდელოება თავის სულიერს და ხორციელს ღონეს, თავის ძლიერებას, პატივისცემას! აი, როგორ გაიმაგრა სამღვდელოებამ სარწმუნოება ქრისტეში ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც გარშემო ვეშაპი მტრები ეხვივნენ და ჰლამობდნენ, ქრისტიანობა ძირიანად ამოეგდოთ. აი, რამ მოაგერიებინა ამ პატარა ქვეყანას აუარებელი მტერი! მამული და ეროვნება მოაშველა სამღვდელოებამ რჯულს, რჯული _ მამულსა და ეროვნებას, და ეგრეთ მოძღვრებულმა ერმა ეს სამება წაიმძღვარა წინ, ათასხუთასი წელიწადი ომითა და სისხლისღვრითა გამოიარა და ქართველს ბინაც შეუნახა და ქართველობაცა.

ამ სამთა უწმინდესთა საგანთა შეერთებამ ასწია ჩვენი სამღვდელოება და დააყენა იმ მაღალ ხარისხზედ, სადაც ყოველი ნიჭი ღვაწლია და სამსახური ქვეყნის წინაშე. მოღვაწეს და მოსამსახურეს ყოველთვის დიდი პატივი და სახელი აქვს და ამიტომაც უწინ სასულიერო წოდებაში შესვლა და ყოფნა დიდ პატივად და დიდ ღირსებად მიაჩნდათ. დიდნი გვარიშვილნი, მეფეთა ოჯახისანი და ძენიც კი ბედნიერად ჰრაცხდნენ თავიანთ თავს, თუკი ეღირსებოდნენ სასულიერო წოდების კაცად გახდომას. სასულიეროში შესვლას და სამსახურსა. ყველამ იცოდა, რა მძიმეა ჯვარი ქრისტესი, ჯვარი მამულისა და ეროვნებისა, და სახელიც მოღვაწისა ამ სიმძიმეში იყო. ეს სიმძიმე აპატიოსნებდა ღვაწლსა, ეს ტვირთი ასხივოსნებდა სამსახურსა და ამ პატიოსნებასა და სხივოსნობაში იყო თავმოწონებაც და ჯილდოც მოღვაწისა.

ამ სახით, წმინდა ნინოს მოციქულობით მოფენილმა და დამკვიდრებულმა ქრისტიანობამ გვიხსნა ჩვენ არამცთუ სულიერად, არამედ ხორციელადაც. იმა უდიდესმა მოძღვრებამ, რომელიც ქრისტე ღმერთმა მოუვლინა ქვეყანას ხსნად და ცხონებად, თავისი ძლევამოსილი კალთა გადააფარა ჩვენში ჩვენს მამულს, ჩვენს ეროვნებას, ვითა ობოლნი შეიკედლა, თავისის ღვთაებურის ძალ-ღონით გამოჰზარდა, შეჰმოსა, შთაუდგა გული რკინისა, გაუმძღვარა ჯვარი პატიოსანი და ძელი ჭეშმარიტებისა. და, აი, ათასხუთასი წელიწადია, ამ ძალ-ღონით ქრისტიანობამ შემოგვინახა ჩვენ ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ენა, ჩვენი ვინაობა, ჩვენი ეროვნება.

ქრისტიანობის მოფენა და დამკვიდრება თითონ ცალკედ, თავისთავად დიდი ღვაწლია, და რომ ქრისტიანობამ ქვითკირსავით შეგვკრა და გაგვამაგრა, რომ ქრისტიანობა გაგვიძღვა მამულისა და ეროვნების შერჩენისა და ხსნისათვის, ღვაწლი იგი გვიორკეცდება, გვიდიდდება, გვიძლიერდება. ეგ გაორკეცებული, ეგ განდიდებული ღვაწლი დაგვდო ჩვენ ჩვენმა განათლებულმა წმინდა ნინომ. აი რით არის მართლა სადიდებელი, მართლა სადიდდღესასწაულო იგი დღე, როდესაც ჩვენი ეკლესია დიდებით იხსენიებს ამ მოციქულთა-სწორს ქალწულსა. ამა ღვთაებურის მადლით მოსილმა მოციქულმა დაგვაწაფა დაუშრობელს წყაროს ღვთაებურის ჭეშმარიტებისას და მოგვივლინა იგი მოძღვრება, რომელმაც იშვილა ჩვენი მამული, ჩვენი ეროვნება, და ერთსაც და მეორესაც უპატრონა დღემდე.

კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის! დიდება შენდა, დიდება!..

1888 წ. 13 იანვარი
გაზეთი “ივერია” N9, 1888 წ.

უცნობი ჰიმნოგრაფი (IX საუკუნე)

*** * ***

ზაბულონ მამამან მისმან ფრანგნი
უკუე მოაქცევინა მახვილითა, ხოლო
ნეტარმან ნინო მოაქცივნა
ქართველნი, ჯვარითა ცხოველითა.

იოანე ზოსიმე (X საუკუნე)

ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ

(ფრაგმენტი)

...და ახალმან ნინო მოაქცია
და ჰელენე დედოფალმან,
ესე არიან ორნი დანი,
ვითარცა მარიამ და მართაჲ,

და მეგობრობაჲ
ამისთვის თქუა,
რამეთუ ყოველი საიდუმლოჲ
ამას ენასა შინა დამარხულ არს...

არსენ ბულმაისიმისძე (XIII საუკუნე)

გალობანი წმიდისა მოციქულისა ნინოჲსნი

თავნი იტყვიან: “ქებით უგალობ
სასოსა ჩემსა ნინოს, არსენი”.

I

ქრისტე, აღახუენ ძნობად ბაგენი ჩემნი
ქალწულისა დედისა მოციქულისა
და ქადაგისა შენისა ნინოჲს შესხმად!
განმინათლე გონებაჲ, რათა მიუზღნე
ღირსსა მას ღირსნი სიტყვანი ყვავილთანი.

ენაჲ, რომელიც არა იცოდა, ესმა,
სულმან განაპოხა რაჲ ქადაგი თვისი,
იქმნა ღმრთისმხილველ, ურჩისათვის ერისა
ეკლოვანსა ფიცხელთა სულითა მოძრავმან
ბრძენმან ნინო თავი თვისი უმსხვერპლა.

ბარბაროზნი და უჟიკნი ქედ-ფიცხელნი
ტრედმან წმიდამან, დასავალით მხმობელმან,
სიტკბოებათა თვისთა მიერ დუმილით
ხელთ უსხნა შემოქმედსა, სძალმან წმიდამან,
სიძესა თვისსა განბანილნი მადლითა!

იქმნა ორღანო მადლთა შენთაჲ, ქალწულო,
ყოვლად წმიდაო ღმრთისმშობელო,
და წილხდომილთა შენთა განმანათლებელი
ნინო, ამისთვის აღვსძრავთ მას შენდა მომართ
მეოხად ჩუენთვის, იღუაწე სამწყსოჲ შენი!

II

თვისთათვის თვისნი მოიხსენნა წყალობით,
თვისა ერთგული მახარებელ-გყო ღმერთმან,
არა მდედრი, არცაღა მამაკაცი,

გარნა ვინ იგი სულმან ჩემმან აღავსოს,
მოგავლინა და მოგვიწოდა ძედ თვისად!

უცნობელთა და მძიმეთა საბურველი
გულითაჲ აღგვიხსნა და ლოდები აღეღო
სამარეთაგან, დაყროლებულნი მკვდარნი
საყვირთა მიერ შენთა აღვემართენით,
წმიდაო ნინო, მოციქულო ქრისტესო!

განღებულ იქმნა ქვესკნელისა ბჭეები,
მკუდარნი, მას შინა პყრობილნი სატანაჲსნი,
განვთავისუფლდით შემოსლვითა შენითა,
არმაზს შეედვა ძრწოლაჲ მეხისტეხითა
და ზადენისნი უხმარ იქმნნეს სიცბილნი!

აღვემართენით შენ მიერ გამოხსნილნი,
ჰოჲ ღმრთისმშობელო, რაჟამს სათნო იჩინე
დედაკაცისა მიერ განბანაჲ ჩვენი
და ემბაზითა სრულ-ქმნაჲ მეცნიერებად
ძისა შენისა ნინოჲს მიერ ღირსისა!

III

ლომებრ ახოვან იყავ, ბრძენო, გულითა!
არაჲ გრცხვენოდა ქადაგებად ქრისტესა;
პართნი აღავსენ სასწაულითა ელვითა;
გაიანე და რიფსიმე ძღუენად მიუპყრენ
ქრისტესა, ხოლო მან შენ ჩვენთვის დაგმარხა!

ორბებრ გუგასა შინა მხედველობითსა
შეიკრიბე შენ სივრცე სოფლისაჲ, ნინო,
და განიცადენ უჭმნი საჭმლად კეთილნი
და მიმართე, ვიდრემდის ბრჭალსა შენსა
ხელთ უსხენცა დიდ სანოაგედ მოქმედმან!

ბნელსა განჰყარე ბნელისა მოხევითა
ბრძენსა მეფესა მსგავსსა კონსტანტინესა,
ჰოჲ ხელოვანო მკურნალო და მოძღუარო,
ვლიტანიობთ ჩუენ პირსა შენსა, ქალწულო,
ქრისტეს ქადაგო და დიდო მოციქულო.

საცთურთაჲთ ხსნილნი შენ მიერ, ღმრთისმშობელო,
წილად ხვდომილნი შენნი ქართველთა ერნი

ნინოჲს ღირსისა მიერ ქადაგებითა
ვხმობთ შენდა მომართ, ჰოჲ მაცხოვარებაო
ჩუენო! გვაცხოვნენ, ქრისტეს ღმრთისა დედაო!

IV

აღიფხურნეს კერპნი საფარველითურთ მათით
და აღემართნეს ქრისტეს ეკლესიანი;
ჯუარსა ქრისტესსა კუართსა თანა და სუეტსა,
ნაცვლად არმაზ ბილწისა, უგალობენ
შვილნი სიონისანი, შენგან განათლებულნი.

სიონისანი შვილნი პირველ ბაბილონს
შერევნისასა ტყუენი საცთურებითა,
ვერ-გალობელნი უფლისა გალობასა,
აწ აღმოსლვისასა ემბაზით იტყვიან, ქრისტე,
შეიმოსეთ ქრისტეს ნათელი ნათლის-ღებითა!

ოდეს მთავრობდა ფარაო შვილთა ზედა
ღმრთისათა ბნელსა ეგვიპტეს მსხმნი
არა უფლებდეს უფლისა დამონებად,
არამედ დღეს ჩვენ, ნინოჲსგან გამოხსნილნი
შვილნი სიონისანი ღმერთსა უგალობთ!
სენით ჩემზედა მდებარით აღვემართე
რაჟამს მომეც მე მკურნალი ღმრთისმშობელო;
ვიხსენ საცთურთაჲთ ნინოჲს მიერ ღირსისა.
კერპთა წილ ბილწთა გიძნობ სასოსა ჩემსა.
გიხმობს ერი ქართველთაჲ, ღმრთისა დედაო!

V

აღმოსავალო, დასავალსა პატივ ეც,
ხოლო ჩრდილოო, თემანსა უკუნჰრიდე,
რამეთუ ბნელს განქარვებად მზე მოვალს
და ყინელისა გადნობად _ მცხინვარებაჲ
ქრისტეს ქადაგი ზედა შემოვალს ნინო!

ჩრდილოთ, უფროჲსღა ბნელით უკუნ-მომცველით,
შენ მიერ ხსნილნი, ჰოჲ ქრისტეს მოციქულო
ნინო, ყოველი ერი ქართველთაჲ გიძნობთ
და ვედრებით ვხმობთ: “მვირნი თანა-წარგვხადენ,
დასცენ ეშმაკნი, მაჭირვებელნი ჩემნი!

ემბაზი წმიდაო, შენ მიერ აღმოქმნილო
წინაშე სუეტსა და კუართსა საუფლოსა,
არღა სრავს ჩჩვილთა, არამედ აღმოჰბადებს
საცხებელითა წმიდითა შემზღუდველი,
იხარებდ, ნინო ქალწულო მოციქულო!

მარიამ, ქრისტეს ძისა ღმრთისა მშობელო,
შენ მიერ ხსნილნი ძვირთაჲთ სამწყსონი შენნი,
ნინოჲს წმიდისა მიერ სამადლობელთა
შევსწირავთ შენდა, მის მიერ განსწავლულნი,
გნატრით ყოველი თესლები, ვითარცა სთქუ!

VI

სამეუფოთა ეზოთა შეგიწყნარეს,
ვითარცა ტყუე და უცხოჲ,
რომელმან განგვათავისუფლენ
ქუესკნელისა ტყუეობითა
და ძე ღმრთისაჲ გვფიცენ,
ჰოჲ ნინო, მოციქულო ქრისტესო,
მახარობელო ცხორებისაო.

აღემართა რა სუეტი წმიდაჲ შენ მიერ
აღპყრობითა ხელთაჲთა,
დაეცნეს ძალნი ეშმაკისნი
და ქოთებითა ლტოლვილნი
გოდებდეს მწარედ; ხოლო
ჩუენ მღაღადებელთა ხმა ვყავთ: “შენ, ქრისტე,
კურთხეულ ხარ უკუნისამდე!”

ნესტუთა სიტყვათა შენთასა იოხრეს რაჲ,
განაფრთხვნეს ერნი, ვითარ
სამეფოთა საყვირთა ხმამან,
და შეიძრნეს მეფენი
სამეუფოჲთურთ და ხმაყვეს:
ტყუეო და ტყუეთა მხსნელო,
კურთხეულ არს შემოსლვაჲ შენი”.

იგავთა მიერ მოსწავებულმან ცხადად
ეგვიპტისა ბომონნი
დასცენ და ძირითურთ აღმოფხვრენ,
ღმრთისმშობელო მარიამ,

და ნინოჲს მიერ ქართლისა
კერპნი წარწყმედად მისცენ,
კურთხეულ ხარ შენ, ჰოჲ ქალწულო!

VII

ნინოჲს ხსენებაჲ სიხარულისა ღირს არს,
ხოროჲ განვაწყოთ, მორწმუნენო ქრისტესნო,
აღვიტყველნეთ დღეს, ერნო და ნათესავნო;
შვილნო სიონისანო, ხმობდით ჩვენ თანა,
ქრისტეს ქადაგებასა შევამკობდეთ ყოველნი!

ო, მეფობაო ქართველთაო, იხარებდ,
რამეთუ ნინო დაგადგა შენ გვირგვინი
ქრისტეს მიერი, ზოგადი კრებაჲ ყავ დღეს,
რამეთუ მოციქული ჩუენი მოგვიწოდს
და ტაკუკითა წმიდითა გვსტუმრებს ჩუენ!

სარწმუნოებაჲ, რომელი გვასწავე ჩუენ,
ითხოვე დაცვად საუკუნოდ ჩუენ შორის
მიუდრეკელად, ჰოჲ ნინო მოციქულო,
და მარადის იღწვიდი ნერგთა ამათთვის,
რომელ დაასხენ სამწყსოსა შინა შენსა!

არსთა მოქმედისა ქრისტეს ღმრთისა დედაო,
არს-ქმნილი შენგან საუკუნოდ ცხორებად
ქართველთა ერი დაჰმარხე ვედრებითა
ნინო ნეტარისაჲთა და ბარბაროზნი
დაუმორჩილენ მორწმუნესა მეფესა!

VIII

რაბამ რაჲმე არს ხსენებაჲ ესე შენი!
რაბამ საკვირველ მოქალაქობაჲ შენი!
რაბამ შვენიერ მოციქულებაჲ შენი
და ყოველივე სიკეთითა აღსავსე,
ქალწულებითა შემკობილო, ჰოჲ ნინო!

სოროჲ ნაწილთა შენთაჲ სავსე მადლითა
უპყრიეს ზღუდედ ქართველთა მეფობასა,
ხმობენ შენდამი: “უკუნ აქციენ მტერნი,
დასცენ ჯვარისა ქრისტესისა მგმობარნი,

ჰოჲ ღირსო ნინო, და სცევდ სამწყსოსა შენსა.

ეჰა, ქადაგო და განმანათლებელო ჩვენო!
ჰოჲ ნინო, მოხედენ ლმობიერად
ლოცვათა ჩუენთა და მოწყალე ყავ ღმერთი,
ითხოვე ჩუენთვის ხსნაჲ ყოველთა ჭირთაგან
და განსაცდელნი გარეუკუნსხმენ!

ნინო, შესხმისა შენისა სურვიელსა
ნუ დამიტევებ ძვირთა შინა წარწყმედად!
ნივთთა ამათგან ჯმნულსა, მეოხებანი
ნიავ-სულნელად დამასხენ, დიდებულო,
ნავთსაყუდელსა ქრისტესსა მიმაწიე!

ისმინე ჩვენნი ლოცვანი, ღმრთისმშობელო,
მეოხებითა ღირსისა ნინოჲსითა,
თანაწარგვხადენ ყოველნი განსაცდელნი,
და მომმადლე ჩუენ წყალობაჲ შენმიერი
და ძლევაჲ მტერთა მეფესა ჩუენსა მოეცჲ!

უცნობი ჰიმნოგრაფი (XVIII საუკუნე)

დაუჯდომელი წმიდისა მოციქულთა სწორისა დედისა ჩვენისა ნინოსი

(ფრაგმენტი)

ოხითა წმიდისა ნინოსი, ხმა დ

სიტყვისა ღვთისა მსახურთა თანამოსაგრეო და ანდრიას ქადაგებისა წარმართებაო, ქართველთა განმანათლებელო და სულისა წმიდისა ქნარო ნინო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის.

კონდაკი 1

ზენაითა მბრძოლისა, მარად შემწისა ჩვენისა, შენ მიერ ჰხსნილნი მონებისაგან ბნელისა ფარაოისა, ყვავილსა შესხმათასა შევთხზავთ შენდამი, ქალწულებისა ყვავილო ნინო! ქრისტეს მხედრობად აღწერილნი მონანი ზენაისა მეუფისანი, არამედ ვითარცა მარად თანა მბრძოლად გაქვს მაღალი ძალი მისი, მარად მძლე ექმენ მტერთა ჩვენთა მებრძოლთა და გვიხსენ ვნებისაგან საცთურისა, რათა ანგელოზებრსა გალობასა დავთხზვიდეთ შენდა: გიხაროდენ, სულისა მიერ საღმრთოისა განწმედილო საღმრთოო სძალო.

იკოსი 1

ანგელოზი ზეციერი მოივლინა რწმუნებად შენდა მოციქულებრისა გზისადმი სრბასა და მოგცნა შენ სიტყვიერნი უწყებანი თითითა ღვთისათა წარწერილნი. ხოლო შენ, თავსა შორის თვისსა დაკვირვებული უზესთაეს ძალისა საქმესა, მორჩილებისა სრბასა შეუდეგ წამის ყოფასა საღმრთოსა, რომლისა მიერ განცვიფრებულნი ვხმობთ შენდამი:

გიხაროდენ, რომლისა ძლით სიხარული მოგვეფინა ჩვენ;
გიხაროდენ, რომლისა მიერ წყევისაგან პირველთა საცთურთასა განვთავისუფლდით;
გიხაროდენ, ბნელისაგან ცთომათასა დაცემულისა ქართველთა აღმადგინებელო;
გიხაროდენ, ქართველთა დედათა მწუხარებისა ცრემლთა დამშრეტელო;
გიხაროდენ, მეკერპეთა გულის სიტყვათა ზესთა სიტყვისა მეცნიერებად აღმყვანებელო;
გიხაროდენ, ანგელოზთაცა უცნაურისა დაფარულისა საიდუმლოსა ჩვენდამი გამომაცხადებელო;
გიხაროდენ, რომელმან ცეცხლის ფერთა საყდართა ზედა მჯდომარე განგვიცხადე ჩვენ;
გიხაროდენ, რამეთუ მტვირთველი ყოველთა დაბადებულთა ქალწულებრივსა მუცელსა შინა, თვითოეულად გვაცნობე ჩვენ;
გიხაროდენ, რომელმან ვარსკვლავთა და მნათობთა უზენაესი ნათელი მომფინე ჩვენ;

გიხაროდენ, რომელმან წიაღსა ქალწულებისასა დაკარვებული ღმერთი განახლებად ჩვენ დაძველებულისა, დამბადებელად ყოველთა გვაცნობე (ჩვენ);

გიხაროდენ, რომლისა მიერ შევემეცნენით ყოველთა დამბადებელსა ყოველთა არსთა მტვირთველსა სიტყვასა;

გიხაროდენ, შენ, ფრიად შვენიერო შორის დედათა, საღმრთოო სძალო...

იბაკო წმიდისა ნინოსი, ხმა ბ

მოციქული ქრისტესაგან გამორჩეული, ქადაგი სიტყვისა ღვთისა განსწავლული, მახარებელი ცხოვრებისა, წინამძღვარი ქართველთა ერისა გზათა სიმართლისათა, დედისა ღვთისა საკუთარი მოწაფე ნინო, შევამკოთ დღეს ყოველთა ძნობითა საღმრთოთა მეოხი მხურვალე, მცველი დაუძინებელი.

ლოცვა წმიდისა მოციქულთა სწორისა დედისა ნინოს მიმართ სათქმელი მუხლთ მოდრეკით

მიიღე ფრიად-შვენიერებით და სიმკაცრით სულთა ჩვენთათვის, დედობრივ მოღვაწეო-ქალწულო, ნეტარო ნინო, მცირე კნინი სამადლობელი ესე ძღვენი ჩვენ გლახაკთა, უღირსთა მონათაგან წადიერებით და სიყვარულით, შენ დედოფლისა და მოღვაწისა ჩვენისად შეწირული! ყოველთა დედათა ნათესავთაგან შენ მაცხოვრად და მოღვაწედ სულთა ჩვენთათვის დაბნელებულთა და ეშმაკისა მონებისაგან ბნელისა მხსნელად ღვთისა მიერ მოწყალებად ჩვენდა მოფენილო ნათელო! ვითარ იგი უპირატეს ამისა პირველ იღვაწე ჩვენთვის მოციქულებრითა შრომითა შენითა და დედობრივითა მოწყალებითა შენითა, აწცა ნუ დააცადებ მოღვაწებასა და მოეხებასა წინაშე მეუფისა ქრისტესა, რომელი შენ გვახარენ ჩვენ მოციქულებრითა შრომითა შენითა და იხსნენ სულნი ჩვენნი საწყალობელნი, მონებისა მისგან ბნელისა ეშმაკისა და საცთურთაგან მისთა მრავალ ღონეთა და ტყვეობისაგან მრავალ საძაგისა მის სულთა დამაბნელებელისა ვნებისაგან გამოიტაცე გონება და სული ჩვენნი! აღსდეგ ზენაითა მით ძლიერითა შეწევნითა შენითა მტერთა ჩვენთა ჩვენზედა აღდგომილთა და შეჰმუსრენ მკლავნი მათნი ბარბაროზებრივნი მრავალ ღონეობით ჩვენზედა განმარტებულნი და მოუღენ ძალი და ძლიერება მათი ყოვლად ძლიერითა ქრისტეს მეუფისა ჩვენისა უძლეველისა ძალისათა! და სრულიად უკუნ აქცევდე დედაო ტკბილო სანატრელო, ცოდვათა ჩვენთა სიმრავლისაგან დღითი დღედ მომავალთა მომსრველთა სიმრავლეთა წარმართთასა და წარტყვენვად ჩვენ ზედა აღჭურვილთა და ვიდრე აღსრულებადმდე და აღკრებადმდე სოფლისა ამის ამაოებისა ჰგიებდე ჩვენთანა განუშორებელად, დედაო სანატრელო, დედა ეგე მოწყალე შვილთა შენთა თანა, ცოდვისა ბრალთაგან განფრდილთა და ვნებისაგან ეშმაკისა ტყვექმნულთა და იღვაწე ჩვენთანა განუშორებელად ნაღვაწი შენ მიერ საღმრთო იგი მართლმადიდებლობისა ყოვლად უბიწო სარწმუნოება ცხოველსმყოფელითა მით მადლითა ყოვლად წმიდისა სულისა შეწევნისათა! და განსლვადმდე ცხოვრებისა ამის ჩვენისა კნინისაგან დაგვიფარენ მარადის უბიწოსა სარწმუნოებასა შინა უბიწოთა მოქალაქობითა, რათა შენ მიერითა მეოხებითა და შეწევნითა და საფარველითა შენითა მარად თაყვანისცემით მოუკლებელად ვადიდებდეთ, ყოველსა ცხოვრებასა შინა ჩვენსა, ყოველთა დამბადებელსა მეუფესა მას მეუფეთასა მაცხოვარსა ჩვენსა ქრისტესა, მამით და სულით ერთ-ღვთაებით და ერთარსებით ყოველთა არსთაგან თაყვანისცემულსა, აწ და სამარადისოდ და მომავალსა საუკუნესა, ამინ.

ხალხური

ანგელოზის წირვა დგება

ანგელოზის წირვა დგება,
როცა დაჰკრავს ნინო ზარსა;
მცხეთის ქალაქს მირონი დუღს
ყველგნივ გააქვს ნიავქარსა.
გარს გუმბათსა, სვეტს ეხვევა,
როგორც ნორჩი ვაზი სარსა,
იმის მადლი შეგეწიოთ,
რაც იქ წირვა-ლოცვა დგასა.

ვახტანგ ორბელიანი (1812-1890)

ჯვარი ვაზისა

I

ზღვას ქარიშხალი ძლიერად ჰბერავს,
ზღვა ქუხს და შფოთავს, ზღვა დუღს და ღელავს;
ზვირთებს ზვირთებზე შავი ზღვა ისვრის,
განრისხებული ღრიალებს, ყვირის.
ტალღა ქუხილით აღიმართება
და გრგვინვით უფსკრულს უკუვარდება;
ზღვა მდუღარია, მთლად არის შავი,
არსად ჩანს აფრა, არსად ჩანს ნავი...
ან ზღვად მავალმა ვიღამ გაბედოს
მაშინ თვის ნავი მას უფსკრულს ანდოს?
და თუ ბედს ენდო თუ ბედი სწამს,
ბედი ვერ იხსნის, უფსკრული შთანთქამს...

მაგრამ გამოჩნდა ნავი დასავლით,
მორბის უშიშრად მორბის ღვთის ძალით,
მოეშურება, მოფრინავს, მოჰქრის,
ზვირთთ განრისხებულთ გულამაყად სჭრის.
აფრა გაგლიჯონ ქარნი ცდილობენ;
ხომალდნი დანშთქან ზვირთნი ცდილობენ;
განრისხებულნი გარს ეხვევიან,
ქუხილით, გრგვინვით ეჯახებიან.
მდუღარე ტალღა უკუიქცევა
და ღრიალითა კვლავ მიესევა.
ზღვა ებრძვის ნავსა, ქარი _ აფრასა!
ზღვა დასძლევს ნავსა, თუ ნავი _ ზღვასა?
არა, ხომალდი ზვირთთ არც კი ებრძვის,
შეურყეველი მოფრინავს, მოჰქრის,
ჩანს, ზეცით აძევს მას დიდი ვალი,
ჩანს, მაზედ არის ზეცით ღვთის თვალი,
მაგრამ გამოჩნდა შორით ნაპირი,
მოჰქრის ხომალდი შეუპოვარი!
ზღვამ მოუმატა თვის მრისხანება,
უფსკრულს მის შთანთქმა მას ესწრაფება;
ტალღა და ზვირთნი მთებივით აღდგნენ
და ნავის გვერდებს მრისხანედ სცემენ;
აფრასა ჰბერავს ქარი ძლიერად, _
მიქროლავს ნავი შეუპოვრად,
მიქროლავს, მირბის, _ კვნესის ზღვა შავი...
კოლხიდის კიდეს მიფრინავს ნავი...

II

ნავით გადმოხდა უცხო ვინმე, ვით მოჩვენება,
არის ასული, მაგრამ არის სიზმარ-ზმანება:
ნათელი, ტურფა, ვით ოცნება, მშვენიერია,
მაგრამ ნათელს პირს სოფლის შვება არ უწერია;
ამ სოფლის გრძნობა არ აღელვებს მის წმინდა გულსა,
ის არ ეკუთვნის არც აწმყოსა, არც დროს წარსულსა,
ეკუთვნის მხოლოდ მომავალსა წმინდა ასული,
მხოლოდ ცისა და კეთილისთვის მას უძგერს გული!
მაღალ შუბლზე აქვს აღბეჭდილი მას მადლი ღვთისა,
ნათელს თვალებში მას უბრწყინავს ნათელი ცისა,
გულის სიკეთე და სიმშვიდე, ჭეშმარიტება,
იმა სოფლისა მოლოდინი და ნეტარება!
მიდის ასული... ხელს უპყრია ჯვარი ვაზისა,
არ ეშინია შიმშილისა, არც უგზო გზისა;

ვერ აბრკოლებენ მას ჭაობნი, ვერცა მდინარნი,
ვერც ფრიალონი, უფსკრულნი და მთანი მყინვარნი;
არ ეშინია წამებისა, არცა სიკვდილის:
დედაწმინდისა წილხდომილსა ქვეყანას მიდის.

III

ვინ ხარ, ასულო, სით მოხვედი, რა აზრი მოგაქვს?
რაც ხელს გიპყრია, მნიშვნელობა, გვითხარი, რა აქვს?
ივერის ერნო, უამბორეთ წმინდის ფეხთ მტვერსა;
თქვენში აღაგზნებს ქრისტეს ნათლის წმინდა ლამპარსა!
არა! ვერ იგრძნო წმინდის სიტყვა ერმა ველურმა,
არ განაცხოვლა მისი გული სიტყვამ ციურმა!
წმიდამ ცრემლითა ცას მიმართვა, ხელნი შეჰყარა:
ერი ველური, კერპთ-მსახური, ღმერთს შეავედრა.

IV

იელა ცამან, იჭექა ცამან,
კვნესით ხმა მისცა დაბლა ქვეყანამ;
შეირყა მიწა, შეირყა ზენა,
ბნელმა მოიცვა ცა და ქვეყანა...
აღდგა გვრგვინვითა მრისხანე ქარი,
აენთო ცეცხლით ბნელი ცისკარი,
შეუსვენებლად ცა სჭექს და ელავს,
ჰაერი ცეცხლით და ალით ღელავს,
სეტყვა და მეხი მიწის პირს სცემენ,
მრისხანე ქარნი ხეთ ძირით ჰგლეჯენ,
ცეცხლის ისართა ცა მიწას ესვრის,
ირყევა მიწა, ბუნება კვნესის...
ცამ მოიკრიფა რაც ჰქონდა ძალი
და მიწას დასცა ცეცხლი და ალი:
მთანი და ბარნი დასქდნენ, დაიყვნენ
კერპთ-მსახურთ ღმერთნი ქვესკნელს ჩაინთქნენ...
თვის მრისხანება ცამ შეაყენა,
მზემ უხვის სხივით მორთო ქვეყანა.
წმიდის ფერხთ-წინა დაემხო ერი,
წმიდამ მას ჯვარით დასწერა ჯვარი!..

V

ჩვენო სამშობლოვ, მშვენიერო, მაშინ შენზედა
მადლი ზეცისა მადლი ღვთისა ზე გარდმოვიდა:
წმიდა ასული, წმიდა ნინო ცამ მოგივლინა,
ქრისტეს ნათელი, ქრისტეს სხივი მან შენ მოგფინა.
მიხვდნენ დიდ მცნებას ძენი შენნი, ერი ველური,
მიხვდნენ, რაც არის დიდი სიტყვა, სიტყვა ციური;
ქვეყნად მშვიდობა და კაცთ ჰქონდესთ გულს სათნოება,
“ძმობა, ერთობა, სიყვარული და შეწყალება!”
სადაც სწირავდნენ კაცთა მსხვერპლად კერპთ და ბომონთ კარს,
იქ ისმა მაღლა გალობის ხმა: “წმიდა, წმიდა არს!”
მოისმა მაღლა დიდებული, საღმრთო ხმა ზართა,
მაღლა შესძახეს მას ხეობათ, მთათა და ბართა.
დიდთა შენობათ მთლად მოიცვეს მთანი და ბარნი,
აშენდნენ აღდგნენ დიდებულად წმინდა ტაძარნი;
ელლინთა სწავლის, განათლების წყარო ნათელი
შთამოიღვარა, და განათლდა გონება ბნელი;
დაშვენდა, დატკბა, შემუშავდა ენა ივერთა, _
დღესაც კი გვატკბობს მათ დროთ ენა ამერ-იმერთა, _
მაგრამ რად გვინდა მის ამბავი, რაც არს აღარა?
რაც თვალთ წინა გვაქვს, გულსაკლავად ისიცა კმარა!
დიდნი პალატნი, დიდნი ტაძარნი
სადღა არიან? აღარ არიან,
მათ დიდთ შენობათ დიდნი ნანგრევნი
ჩვენ თვალთ-წინ პირქვე ტიელად ჰყრიან;
მგზავრი, მოსული უცხო ქვეყნითა,
დადის მათ შუა უკვალო გზითა,
ჩვენს ისტორიას მათში ეძიებს,
მაგრამ ვერა რას, ვერა რას ჰპოვებს!
რაც წარწერილნი მათზედ ყოფილან,
ისინიც დროთგან მთლად აღმოფხვრილან!
მხოლოდ ჩვენ გვესმის მათ უცხო ენა,
ივერიის ძეს უყვარს მათ სმენა,
ჩვენს გულს უხმონიც ბევრს უამბობენ,
რაც რომ ყოფილა, მასზე უბნობენ.
მაშა მტრის ხელსა არა რა მორჩა?..
არა, საუნჯე დიდი რამ დაგვრჩა:
ჯვარი ვაზისა!.. მადლი ამ ჯვარის
ჩვენს სამშობლოზედ, ჩვენს ერზედ არის!

აკაკი წერეთელი (1840-1915)

ნინოობას

იტირე მიწავ, სამშობლოვ!
ზარი აუშვი ზეცაო!
ისტორიულმა ღვთის რისხვამ
დღეს ჩვენთვის იორკეცაო!..

ენა წაგვართვეს და რჯულიც,
ნათელი რამღა გვფინოსო?
“თამარ” მონათლეს “თამარად”
“ნინა” დაარქვეს ნინოსო!

სად არის კუბო თამარის,
ქვეყნისგან ნაამბორისა?
ვის ხელში არის საფლავი
ნინო მოციქულთ სწორისა?

სადღაა ჯვარი ვაზისა,
შეკრული წმიდის თმებითა?
დასდუმდა მისი ტროპარიც
ქართული კილო-ხმებითა!

ქრისტეს სახელით ქრისტეს სჯულს
წვალება შემოერია
და ჩვენს ეროვნულ ფიცარზე
“ქართველი” აღარ სწერია!

ვიტიროთ?! არა! ვაჟკაცსა
არ შვენის ცრემლით გლოვანი!..
“სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა
სიკვდილი სახელოვანი!”

იოსებ დავითაშვილი (1850-1887)

მესტვირული

(ფრაგმენტი)

...ქართველთ ერის განათლებას
ნუ ივიწყებ, წმინდავ ნინო,
ენა, რჯულის აღსადგენად
შენი დროშა გადმოგვფინო...

ვაჟა-ფშაველა (1861-1915)

წმინდა ნინო

ვუძღვნი ქართველ ქალთა საზოგადოებას

სასახელოა ჩვენთვისა
დედათ-მთავარის დღეობა,
იმის წყალობით განმტკიცდა
ქართლში ახალი ზნეობა.
ვცანით იესო ქრისტესი,
ჭეშმარიტის ღვთის ძეობა
და ქრისტეს სწავლა-მოძღვრების
სიდიდე, მძლეთა-მძლეობა.
ვინც ქრისტეს მცნება გვასწავლა,
ქართველთ გვწამს მისი ზნეობა.
იკურთხოს მისი სახელი,
იკურთხოს ნინოს მხნეობა.
ცამ მიანიჭოს ჩვენს ქალებს
სიდიდე ნინოს სულისა,
რომ შესძლონ ქვეყნის აღდგენა,
განკურნვა იმის წყლულისა;
ობლისა მოვლა, გამდლობა,
მოხელვა დაკარგულისა.
არ დაეკარგოს ამაგი,

ვინაც სამშობლოს უვლისა.
იკურთხოს დედათა ღვაწლი,
მადლი სწყალობდეს უფლისა!

გრიგოლ რობაქიძე (1882-1962)

წმინდა ნინო

ქალწულო ნინო, ეშვები ჩრდილებით:
დალურსულ ფოთლებში მზის თვალი დაღვარული,
ჩვენ, დანებულნი და გულახდილები,
შენ წინ ვეფინებით უშრეტი სიყვარულით.

მცხეთას რომ მოგესმა ნელი ხმა ზეცითგან,
გული ღვთისმშობელის ჩვენთვის ხომ უხვია _
ჯვარი გამოსჭერი ვაზის ნასხლევიდან
და ცხელი ჭრილობა თმებით შეუხვიე.

ღვთიური ტკივილი და არა _ წამება
იყო აქ, გვითხრობენ ამას ჩვენ მამები.
არ გვინდა, დედაო, სხვა ჯვარი ბერწების,
არ გვინდა სხვა მიწა და სხვა ნასხლევი!
ვიცით, შენი ჯვარი ლხინია ლერწამის _
ტოტებს აიყრიან მეტი გახელებით,
როცა გადასხლავენ სასტიკი სასხლავით.
ქალწულო ნინო, ათასჯერ გვენახე!
შენ გეალერდება დედული ვენახი.
ღვთიურ ანთებული ჩვენს მიწას ევნები
სხვა როგორ ვიგულვოთ აქ შენი ნაცვალი?
ზვარში რომ გაივლი, ჩაყრილი მტევნების
მზის თვალით ივსება ყოველი მარცვალი.
შორითგან გიყურებს, ავს რომ აგაშოროს,
ხმალამოღებული მზევაჟი ლაშარი.
ის არის ივერის მცველი და მზვერავი
და ჯვარს ვაზისას წაართმევს ვერავინ!

ნათელო ნინო! ვით მიწის ხნულები,

შენ წინ გადასხნილან აწ ჩვენი გულები.
მო, გადაგვიარე, ბედს გადავურჩებით
და ტერფებს დაგიკოცნით მაგარი ტუჩებით.

დაო და დედაო,
ღვთისმშობლის დობილო,
ვართ შენზე დანდობილი
და შენი შენდობით
არ გადავშენდებით!

შალვა ვარდიძე (1885-195?)

წმინდა ნინოს

ნინო წმინდაო, ამ შენს დღეობას
გაქებთ, გადიდებთ ივერის ძენი;
შენი ნაღვაწის საღვთო მოძღვრებას
მარად იგონებს გონება ჩვენი,

გიხმობთ ქართველნი, მოგვხედენ ზეცით,
კვალად მოგვაგე სწავლა დიადი;
როგორც წარსულში აწ განგვიბრწყინე
გზა ცხოვრებისა გვიძს რა წყვდიადი.

ხანი დაგვიდგა შავი და ბნელი...
დავიქსაქსენით, ვართ დავრდომილნი;
დავკარგეთ ბინა _ ჩვენი მამული, _
თავისუფლების დრონიცა ტკბილნი,

მოსავთა შენთა ტანჯვა-ვაების
აწ რაკი გესმის ხანგრძლივი ზარი,
გვექმენ დამცველად, გვაშორე მტერი
ჩვენი ცრემლ-სისხლით გაუმაძღარი;

ძველებრ მოდი ქადაგად ჩვენში,
გარე-მოცული გაჰფანტენ ბნელი;

დღეს სხვა არმაზის, კერპის ბოროტის,
შენგნით შემუსრვა არ არის ძნელი.

ნინო წმინდაო, ამ შენს დღეობას,
შენდა აღვავლენთ ლოცვას ცრემლოვანს;
იმედი სრული შენზედ დაგვიძის,
გვრწამს, განგვიახლებ ბედსა ნათლოვანს.

მარად რა შენი წმინდა ხსენება
სევდას გვიფანტავს, გვაძლევს სიხარულს;
აწ დღეს მოსავნი გაქებთ, გადიდებთ
მოგიძღვნით ჩვენსა ხოტბას, სიყვარულს.

ნუ დაგვიშურებ რასაც გთხოვთ გრძნობით:
ქართველი ერი აღდგეს, განცხოვლდეს;
შენი მოძღვრების და განათლების
წარსული დიდი კვლავ განუახლდეს.

ვიდრე ივერის სოფლად ჰგიებდეს,
ვიდრე ცხოვრობდეს ერი ქართველი
შენი მადლითვე უვიწყარ იყოს.
შენი დიდება, შენი სახელი.

ნინო წმინდაო, უცხოეთს მყოფნი
ვიდრე შეგვკრებდე შენს ტაძარს შინა,
მანამდის მწირნი, შენნი მოსავნი
ცრემლსა დავაფრქვევთ შენს ხატის წინა!

იოსებ გრიშაშვილი (1889-1965)

წმინდაო ნინო!

წმინდაო ნინო! როცა თენდება
და ცა ირთვება შვინდისფერ ისლით _
შენი სიონი გამახსენდება,
მოვდივარ შენთან სიდარბაისლით.

და, როგორც ქარი ვარდს მიაქანებს
და უმღერს: “ერთად დავიმარხებით!”
მეც მოვქრი შენსკენ და ფილაქანებს
ვნესტავ მონადენ ცრემლის არხებით.
და მსურს ეს გრძნობა ორმაგ იჭვებით
არ დავამდაბლო, არ დავაკნინო;
მსურს მაგ ძველ ლოცვებს ახალ სიტყვებით
კვლავ შენ გიმღერდე, წმინდაო ნინო!
შენ განანათლე ძველი ივერი,
ვაზის ჯვრით ხელში ერს მოევლინე _
მოგვეცი რწმენა ღვთივ-მშვენიერი
და კერპთ-ბომონი დაგვაწყევლინე.
ო, მწამხარ! მწამხარ! და შენ, უხრწნელსა
მსურს გიძღვნა მგოსნის შარავანდედი:
ჰა, ვეამბორე ვაზის ჯვრის წნელსა,
ჰა, წამოვანთე შენს წინ კანდელი,
და მსურს ეს გრძნობა ორმაგ იჭვებით
არ დავამდაბლო, არ დავაკნინო:
მსურს მაგ ძველ ლოცვებს ახალ სიტყვებით
კვლავ შენ გიმღერდე, წმინდაო ნინო!

დარია ახვლედიანი (????-1941)

ვედრება წმიდა ნინოსადმი

აჰა, აღვიპყარ სასოებით შენსკენ ხელები,
და შენს წინაშე კრძალვით ვდგევარ, წმიდაო ქალო,
გვედრი, ისმინო ჩემი თხოვნა, ჩემი ცრემლები,
ბედ-განწირული მანუგეშო და შემიბრალო.
მე გევედრები ქართველ ქალთა ზე აღდგინებას,
აწმყო ჭირთაგან ციურ ძალით განკურნებასა,
შენი რწმენისა, შენი მადლის კვლავ მოვლინებას
და საქართველოს _ შენი ქვეყნის განახლებასა.
მე გევედრები მონობისა ხუნდ-ბორკილების,
ჩვენი დაცემის აწ შეგნებით უკუ-ქცევასა,
შენი დიდებით განდიდებას ჩვენი შვილების,
რომ არ ვისმენდეთ მომავლისა კრულვა-წყევასა.

შალვა კარმელი (1899-1923)

სონეტი ნინოს

ჩვენთან მოსვლისას მეტყველებდი ვაზის ჯვრის მცველი.
მაყვლის ფოთლები შენ გიწევდა სახლის ყავრობას.
საკვირველია, სარკინეთზე არმაზი მწველი,
დასძლიე მეფე მირიანის შენ წარმართობა.

ქრისტიანობით აგვირგვინებ მისნურ მგზავრობას.
გაცსა და გაიმს დაუკარგე დიდება ძველი.
შენ ჩააქსოვე ჩვენს წარმართულ სულის სტავრობას _
ნაზი ლეგენდა, წინაპართა ლოცვებით სველი.

ნანა დედოფალს განუკურნე მთვარის სენები,
ალბათ, გწყალობდა მზე ბეთლემის, პორფირიანი,
რომ სვეტიცხოველს მუხლს იყრიდა თვით მირიანი.

თოთხმეტ იანვარს შენი დღეა მოსახსენები.
ბოდბის მონასტერს გაუშლიხარ ცისფერ იაში.
ასე ახსოვხართ შენ საყვარელ ივერიაში.

ნიკო სამადაშვილი (1905-1963)

ატენის სიონი
(ფრაგმენტი)

...წარმართთა ძვლებზე იდგა ტაძარი
ზევით ლეგენდა მიჰქონდათ მთიებს,
ძირს წმინდა ნინოს ნაფეხურები
ჰგავდნენ სისხამზე მოკრეფილ იებს...

ანა კალანდაძე (1924-2008)

მოდიოდა ნინო მთებით

“ხოლო მე დავშთი ეკალთა შინა ვარდისათა,
რამეთუ ვარდი და ნუში ყვაოდა მას ჟამსა”.
ნინო

ლურჯ მწვერვალებს
ქარი რძისფერ ნისლში ხვევდა...
და, როდესაც ბარში ვარდნი ყვაოდნენ,
თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა
და ტყეებში ქარიშხლები ბღაოდნენ...
მოჰკიოდა, ქარი ღრუბლებს მოჰკიოდა
და ფარავნის ტბასა ზედა ძრწოდა ქარი...
მოდიოდა, ნინო მთებით მოდიოდა
და მოჰქონდა სანატრელი ვაზის ჯვარი...
თოვლის მთებით კვირდებოდა უცხო მგზავრი, _
ვის უნახავს ვარდობისას თოვლი მთებზე?
მწყემსსა ჰკითხა:
_ რომელია ქართლის გზაი?
მწყემსმა უთხრა:
_ საქართველო არის ესე!
მიეძინა... ერთ წალკოტში მიეძინა
და ფშატებმა მზისგან მოუჩრდილესო,
ეს ვინ არი, გამოცხადდა მგზავრის წინა?
_ “ნუ გეშინინ!” _ მიუგებდა იესო.
გაეღვიძა... წუთით იგრძნო მშობლის სევდა,
მაგრამ რწმენა ავალებდა რაოდენს?!
თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა
და ტყეებში ქარიშხლები ბღაოდნენ...

ბოდბედან ნინოწმინდამდე

(საგარეჯოში გაგონილი)

ნინოობა დღეს
თითქმის უცვლელად
ამ გზებზე ქარნი
ქრიან ძლიერნი.
იფარებიან
გზები ბურუსით,
თითქოს... რაღაცას
მოელიანო...
ცას შეავედრებს
დათოვლილ სოფლებს,_
ნათელი რამე
გზაზე დგებაო:
ბოდბედან თვისი
კაბის შრიალით,
ამბობენ, ნინო
მობრძანდებაო.

ფრიდონ ხალვაში (1925-2010)

კაპადოკიური ხილვანი

მე და ჯემალ აჯიაშვილმა ერთად მოვინახულეთ კაპადოკია

კაპადოკია არ ჰგავს ლეგენდას,
გაქვავებულა დრო საოცარი,
წმინდა მღვიმეში მინდა შეხედვა,
გაჩურჩულება ძველ სალოცავთან.

ალბათ ანგელოზს უნდა ეცქირა
ისეთი ჩანდა კაპადოკია,
ჩამოიხარა ნისლი ზეციდან
კლდეთა შუბლების ასალოკავად.

გვითხრა: მძაფრ დროში აქ რომ მოხვედით,
ჩემი დიდება თუმცა დაცლილა,
აგივსებთ სულს და გულს სამოთხეთი,
რადგან ივერთა მხარის კაცნი ხართ.

კლდეში გუმბათებს ანთებს გალობა,
მზე სანთელივით ქედებს ადნება,
მალე ჯვრით ხელში ნინო გამოვა,
საქართველოსკენ გზას დაადგება.

ნოდარ დუმბაძე (1928-1984)

ეკლესია

რაზე ფიქრობ, მითხარ, რაზე, ასე დიდხანს.
რად წახრილხარ, ყავარჯენი ხომ არ გინდა,
არც სამრეკლო ზარის ხმაზე სულს არ ითქვამს...
ნინო წმინდა...
რა უყავი ის სამრეკლო, ან ზარები,
ო, იმ ზარებს თქმა თუ სურდათ კიდევ რამის,
და ზარები ისევ აღარ ზანზარებენ,
სდუმს ივერის მარიამი.
არც მე მესმის, რად დადუმდი მლოცველისთვის,
კვლავ ცრემლი გდის დახავსებულ კედლებიანს,
მაინც მოვალ და ორთავეს ცოდვებისთვის
მუხლთ მოგიყრი, ეკლესია.

“შეუნდეო”, წარსულში თუ გითქვამს ასე,
აღაღადდი, აღსარება მაინც მინდა,
ო, სადა ხარ, გეამბორო ვაზის ჯვარზე,
ნინო წმინდა.

ამ საფლავებს რომ დასცქერი შუბლშეკრული,
ჯვრებამოჩრილს, გადაბარდულს, ეკლებიანს,
შავ ფიქრებში ყორანივით შერუჯული
ჩამარხულხარ, ეკლესიავ.

ან რას იზამ, დაიქანცე,
გადადექი ამ ცხოვრების შარაგზიდან,
დაავიწყდათ ღვთისმშობელი მარიამი,
იესო და ნინო წმინდა.

მუხრან მაჭავარიანი (1929-2010)

ცხება მირონთა

თხოთით მოიქცა მეფე მიროტა;
მცხეთას გაჩაღდა ცხება მირონთა.
ნაყოფთ უწვდიდნენ მეფეს-პილოტანს
რტონი მაყვალთა და ბაბილოთა...

თვალნათქორალი იდგა ნინო და
ჟღერდა გალობა მუნ ალილოთა.

ნუნუ კერესელიძე (1932-2013)

ანდამატო სურვილთაო…

წმინდა ნინოსადმი

ანდამატო სურვილთაო,
გზასა ძნელსა გვასწავლიდე,
უსულგულო სიყვარულის
საფიქრალსა განგვარიდე.
ურვა მზისა არ დავაგდოთ,
ბრალისაკენ არ წავიდეთ,
ჩვენი ურვა შევუწონოთ,

საავკარგო სამკალს ვმკიდეთ.
ვაზის ჯვარსა ვუდარაჯოთ,
რომ ვიცოდეთ საით ვვლიდეთ
და მარადი სიხარულით,
ურჯუკობა გარდავლინდეს.
ამინ, ჯვარით, როგორც ქნარით
ვინ გვიძღოდეს შენგან კიდე?
მისაქციელს მიგვაცილე,
კვლავ ნუგეშის ჯვარით გვზრდიდე.

ზვიად გამსახურდია (1939-1993)

წმინდა ნინოს

ნათლის ანგელოზს ჰგავდი,
როს წარმართთ დაგვიზავდი,
და სცხე მირონი მცხეთას,
კაცთა, საცხოვართ, ხეთა,
დედავ და ემბაზო ჩვენო,
ნინოვ, ქართლს ბნელისა მთენო,
უკვდავო სიკვდილსა შინა,
მარად გვიძღოდე წინა!

მამუკა სალუქვაძე (1955-1997)

მოქცევა ქართლისა

(ფრაგმენტი)

ამბავი წმიდა ნინოსი მისგანვე ნაამბობი მწყემსთათვის

კაბადოკია ებრაულად კაფთორიმ გახლავთ,
სადაც ქალაქი კოლასტოა თუ გაგიგიათ;

ალაგი ჩემი მშობლიური სწორედ იგია.
თუმც ჩემიანი აღარავინ ცხოვრობს იქ ახლა.

თორმეტი წლიდან ვარ განგებით დანაობლები,
მაგრამ, რამეთუ რჩეულთა ხვედრს თავად დაადგენს,
მადლობა ღმერთს, რომ აირჩია ჩემი მშობლები;
მადლობა ღმერთს, რომ ღვთისნიერნი სწორ გზას დაადგნენ.

მამაჩემს ჰქვია ზაბილონი, დედას სოსანი;
არიან ორნივ ერთიანად ღვთისა მოსავნი,
უღალატონი, უცოდველნი, პატიოსანნი,
აწ, ჭეშმარიტი მოწაფენი იესოსანი.

ზაბილონ ერთ დროს რომაელთა მთავარი გახლდათ,
მაგრამ არჩია მთავრის დაფნას ყოფნა უდაფნო;
სახლი გაყიდა, გაიხადა სახლად უდაბნო;
წავიდა წიაღ იორდანეს, ლტოლვილი გახდა.

პატრიარქმა კი, დედაჩემი, და საკუთარი
იქ განამწესა სამსახურად გლახაკსნეულთა,
სადაც თვით უფლის საფლავია, და საყუდარი
დათა რჩეულთა, ღირსეულთა, სულით ეულთა.

ობლად დარჩენილს ნიაფორი დვინელი მზრდიდა;
ქალი კეთილი, მოამაგე, მოწყალე დიდად;
დედა მორწმუნე, ჭეშმარიტი მსახური მაღლის,
უბადლო მცოდნე სჯულის გზათა _ ძველის და ახლის.

ამბავი სწორედ მან მიამბო ქრისტეს ვნებისა,
მცველთაგან მისი საბოლოოდ შეგინებისა;
თუ ვით გაძარცვეს მაცხოვარი შემდგომ ჯვარცმისა,
რათა გაეყოთ საფასური მათ ნაძარცვისა.

ქრისტეს წამების მოწამეთა, შორით მხედველთა,
კვართი წილად ხვდათ ურიათა თურმე მცხეთელთა,
და ვით ყოფილან კაცნი ფრიად მოშიშნი ღვთისა,
წამოუღიათ და დაუფლავთ სოფელსა თვისსა.

კვართი უფლისა, ნუგეშია რადგან ობლისა,
წარმოვემართე, წამოვედი ძებნად სოფლისა:
გამოვიარე გზა სავალი მრავალთა დღეთა,
აწ, აქ მოველ და აღარ ვუწყი, საით არს მცხეთა.

სომხური ენა ერთადერთმა იცოდა მწყემსმა

და რადგან ნინოს ნაამბობი ზოგი რამ ესმა,
ტყვე ქალის ბედმა დააფიქრა, თუ შეაწუხა,
მერე მდინარე დაანახა და უპასუხა:

ხედავ მდინარეს?! მისდიე და ჩაგიყვანს ხერთვისს,
ორი ნაკადი სადაც ერთი მეორეს ერთვის,
ციხე-სიმაგრე შემოგხვდება ზედ კლდეზე მდგარი,
კვალად გაჰყევ და მეგზურობას გაგიწევს მტკვარი.

როცა ყოველი აღუწერა და დაუხატა,
ნინომ გარჯისთვის მწყემსს მადლობა გადაუხადა.
მეინახეებს სთხოვა ნება დაძინებისა,
ნებაც დართეს და თან დასძინეს _ ძილი ნებისა.

თანდათანობით ჯავახეთის ქედი ღამეში
ისე ჩაეფლო, ვით ჩაჟანგულ ლაფში კამეჩი,
და, მთამ რომ თავზე გადივარცხნა თმები ნისლისა,
მთვარეს გაანდო ნინომ ლოცვა ძილად მისვლისა.

ჯანსუღ ჩარკვიანი

წმინდა ნინო

ხვალის, დღეის თუUწინ დღისა,
წამისა მსწრობელს ვერ დავთვლი,
ქნარო, სულისა წმინდისა,
ილოცე სულთა ჩვენთათვის.
ჭეშმარიტებით შენითა,
მხოლოდ სიმართლით შენითა,
ვერ დაამდაბლოს ვერც მტერმა,
რაიც შენს გულში შენივთდა.
ქართველთა სხეულს მზით მოსავ,
გვინათებს მადლი სანთლისა,
მე გისმენ _ წმინდა ნინოსა,
წყალობით განთიადისა.

ვანო ჩხიკვაძე

წმინდა ნინო

_ ნინო! _
გაზაფხული დაგიძახებს,
კვირტების წათლილი ფერადებით
ჩამოყრის ლოლუის ყაისნაღებს
მარტი _ დაძონძილი დედაბერი.

თავი მოვუდრიკე დარბაისელ
თრიალეთის მთების გაყოლებას.
მოჰფენს სურნელებას ნამაისევს
ლურჯად იასამნის აბოლება.

ეს გზა მძიმე ჯვარით გაგივლია _
ახლაც, განთიადის დადგომამდე,
ველურ ბროწეულის ყვავილივით
მცხეთის სანახებში ამონათდი.

უხსოვარი დღიდან ღამენათევს
მიხმო გაზაფხულის მოძახილმა _
გულზე ის ვარსკვლავი დამექარგა,
შენ რომ მცხეთის კართან მოგაცილა.

ნინო, საუკუნის გადასახედს,
შვების წმინდა ცრემლი აწვიმე და,
ჯვარი ერთხელ კიდევ გარდასახე
რაიც უფლის ნებით გაბრწყინდება.

მეუფე თადეოზი იორამაშვილი

დედა ნინოს _ ნათელსა საქართველოისასა

რომელმან ნათლით შემოსე
მოდგმა კოლხთა და იბერთა,
ქართვლის დედავ და ქალწულო,
გული კვლავ არ დაგიბერდა,
ზეგარდმო ცვარი აპკურე,
იწყე მესხით და ლაზითა
და ღვაწლმან შენმან მამული
ოქროს ხანამდე აზიდა...
რომელმან სცვალე საწუთრო
უხრწნელი სილამაზითა...
საუკუნეებს აპურებს
სურნელი შენი ვაზისა.
მე ვით შეგამკო, როდესაც
ძალნი გამკობენ ცისანი,
თავსაც რომ კრძალვით გიხრიან
ყვავილნი სამოთხისანი,
საკუთარ მამულს, ვარდობას
შემოხველ, როგორც ხიზანი, _
ცად აგვამაღლე და ზეცით
ლოცვა-კურთხევას გვიგზავნი.
ქალწულმა ჰბაძე ქალწულსა,
ქართველთა ტკბილო დედაო,
შენგან, შენ მიერ, შენს მამულს
სიკეთე დაებედაო,
ავმაღლებულვართ იმ ხანად _
სადაც სიყვარულს ვხედავო...
არცა დაღლილხარ, ღირსეულთ
ცად მიუძღვები მხნედაო.
დაგვლოცე, მწყემსო კეთილო,
გამოგვაფხიზლე მძინარნი,
აწ უდარდელნი, ბოლო ჟამს
ავაჰმე რამდენს ვინანით...
შემოგვაბრუნე მზისაკენ, _
ვიდრე სიცოცხლე წინ არი, _
რომ უფლის მოსვლას საკვირველს
ჩვენც შევხვდეთ სახე მცინარნი.

ჯემალ ინჯია

წმინდა ნინოს საფლავთან

მე წმინდა ნინოს საფლავს დავყურებ
და მეუფლება ისეთი განცდა,
თითქოსდა კუბოს თავი დავხურე,
თან წუთისოფლის გინება დამცდა.
ტაძარს უთუოდ ჰყავს მეთვალყურე,
ვუცდი მის რისხვას და, ვაი, ამ ცდას.

ეს გაორება თუ გასამება
იქნება გაჰქრეს, ზღურბლს რომ გადავჭრი,
მსურდა სიტყვისთვის სიტყვა წამება,
რადგან უცეცხლოდ აქ ვერ გადავრჩი.
ვგრძნობ, ჩავუგდივარ გრძელწამწამება
უცნობ ქალიშვილს ტონის რადარში.

არ შეიძლება აქ შეცოდება,
აქ სიყვარული არ შეიძლება,
მაკრთობს მაღალი სამღვდლო წოდება,
ლოცვა-კურთხევას მტლად რომ იძლევა,
მაგრამ კაცს ხელის გამოწოდება
მაშინ გსურს, როცა მიწა ინძრევა.

მიწა ამჯერად გულია ჩემი,
გული ტევადი, გული მომცველი,
ტაძართან იით მოსილი თხემი
დასტირის ზამთარს, მარტით მოცელილს.
გამოიგლოვა ბოდბეში ტყემ ის,
სხივმოსილია ერთი მლოცველიც.

მე მას ვუყურებ და მის ვნებიან
ღიმილს. ღიმილო, ხარ უხერხული.
გავიდეთ გარეთ, სადაც თბებიან
მარტის მზის გულზე ზვრებიც, ხევ-ხუვიც.
ეს ზვრები წმინდა ნინოს თმებია
და იქ ჩაღდება ჯვრების ფერხული.

დაეცა სხივი წმინდანის საფლავს,
სწორუპოვარო ღმერთო, ჰელიოს,
არ ღირსებია არასდროს დაფნა,
როგორც წინამძღოლს, ბრძენს და გენიოსს.
ქრისტიანებო, ვიცქიროთ მძაფრად,
ეს სხივი სხვაში არ აგვერიოს.

მე ვანთებ სანთელს და სანთლის წვაში
ღვივდება ჩემი ოცნების თესლი,
ამ დღეს ხსოვნიდან არასდროს წავშლი,
ვამაყობ ამ ძველ ტაძარში შესვლით.
წმინდანის ლანდი, ჯვრითა და თავშლით,
ხვალ ჩემს ურწმუნო ცხოვრებას შეცვლის.

მარიამ წიკლაური

გვისმენენ

ნ-ს

ფეხდაფეხ ჩამოგვყვა მცხეთიდან საღამო.
ატმისფრად ათოვდა არმაზს და ზედაზენს.
არაგვში თეთრ ჩიტებს ჩაეყოთ ნისკარტი,
ნათელი სდიოდათ მიმწუხრის ემბაზებს.
აქ ჟამი არ ბრუნავს, აქ მყუდრო ყურეა,
ფოთოლი არ სცვივა ხესა და მაყვლოვანს.
აქ მთელი სამყარო ცალ მუჭში გეტევა,
ღმერთამდე იმდენად, იმდენად ახლოა.
და თითქოს ხედავდე იმ ხილვებს, უძველესს _
ჯერ ელის ზედაზნის მთა წმინდანს, მდუმარედ,
ჯერ სძინავს მის გულში წყაროებს, საკვირველს,
ტყეებს კი აშფოთებს წარმართი სტუმარი.
ხედავ რომ, ფრთოსნების გუნდს გასცქერს ქალწული,
იქ, სადაც მტკვარი და არაგვი ერთდება,
სხეულზე იცხებენ წყალს შავი ჩიტები
და უმალ ხდებიან თოვლივით თეთრფრთება.
ხედავ, რომ უსველებს კაბას და ნაწნავებს
არაგვი ქალწულს და მიჰყვები მორჩილად,

შენც გნათლავს, იქ, სადაც უღმერთოდ სიცოცხლე
კაცზე წინ ჩიტებს და ყვავილებს მოსწყინდათ.
ვინ იცის, ატმისფრად რად ათოვს ზედაზენს,
რად ირევს ზამთრის ცა იებს და სოსანებს?
მტრედები წყალს სვამენ ბერების საფლავზე –
ცრემლებს უმშრალებენ თითქოს ღვთისმოსავებს.
მთის ფერდზე ნისლივით მოჩანან ნუკრები,
კარსანში ბუბუნებს მეფეთა სამარე,
ექოს ხმას ქარივით გაატანს საცაა
მარადისობისკენ საკუთარ ანარეკლს.
ვინ იცის, რა მადლი მოგვყვება მცხეთიდან?!
არაგვში თეთრ ჩიტებს ჩაეყოთ ნისკარტი.
დღე არ უღამდება ღამეს თუ მეჩვენა _
ბინდს ნინოს მზიანი თვალები ისხლეტენ.
და მზე არსად ჩადის,
მწუხრიც ნათელია,
მოვდივართ, სიჩუმეს ვსაუბრობთ,
გვისმენენ.

მაია მიქაია

სულში ვუცოცხლე უფალი

წმიდაო მოციქულთა სწორო დედაო ნინო, ევედრე ღმერთსა ჩუენთვის.

გზაო, უგზოვ და მთიანო, მზეო, იმედო ხვალის,
ამ ცისკენ უნდა ვიარო, ვატარო ვაზის ჯვარი!
ქვეყნად ქროლისგან დაღლილო, ქარო, ქცეულო სიოდ,
ლოცვავ, სიზმარშიც ნამდვილო, დილამდე უნდა გდიო.
სადღაც, ღრუბლების გადაღმა, ერთი ქვეყანა არი,
სადაც ცამეტმა ქადაგმა ცამეტი ზიდა ჯვარი.
მე კი ათასჯერ დაგლოცავ, წყაროვ, ნასვამო პეშვით,
უფლის ხმა ღრუბლებს გამოსცდა ივერთა ქვეყნის მთებში.
ჩემთვის ქცეულა სამშობლოდ, მე _ მოვვლენივარ მშობლად,
კურთხეულ ქვეყნის საობლო ბედისკვერების მცხობლად.
მთაში ხანჯალი ავლესე, ფერი ვაწურე ნართავს,
ბარში ვაზს მივუალერსე და ხორბლის მწიფე თავთავს.

სანამ მზე დაიღამებდა, ცეცხლის ალს სცემდნენ თაყვანს,
სანამ უფალი გამეფდა, სწირავდნენ გაცს და არმაზს.
სულიც ხომ უნდა დაღვინდეს, როგორც ცრემლები ვაზის...
ჩემს კეთილშობილ მასპინძელს მხარზე მიმინო აზის,
მოუწევს რწმენით ეახლოს სიწმინდეს ღვთის და კაცის,
უფლისად ლოცვით შეახოს ბაგე უწმინდეს ბარძიმს.

მოვდივარ, სისხლის ცრემლი მდის, ეს მერამდენედ მოველ!
რწმენის და მიტევებისთვის უფალი ჩემში ვპოვე.
ვანთებ, თუმც ზოგჯერ უალოდ, ღვთით მირონცხებულ კანდელს
და ჩემი ლოცვა, უფალო, იცავს ქვეყანას ნათელს.
აქ სიყვარული მკურნალი ვისწავლე თმენით მშობლის,
სულში ვუცოცხლე უფალი ერს, რწმენით ახლად შობილს.
და დავანათლე განდგომილს ფლობა სულიერ განძთა
და ჯვარცმისა და აღდგომის ასიათასჯერ განცდა.
როცა ამ ბუდის არწივი ამაყად უფრენს ამ მთებს,
ასკილისფერი აპრილი გაზაფხულის მზეს ანთებს
და ერი როს ღვთისმოსავი აღდგომის ღამეს ათევს,
ასიათასი მოწამის საშვილიშვილო ნათელს
სულით ატარებს უხილავს და სანთელივით იწვის,
უფალი ჯერ არ უხილავს, მოწმეა უფლის სიბრძნის _
მკვდრეთით აღსდგება ლაზარე, ტაძარში ექო ისმის
ვაზის ჯვარივით ნატარებ, ჯერ ამოუთქმელ სიტყვის.
ძველს გაპოვნინებს საუნჯეს მუდამ ძიება ახლის...
საუკუნეებს გაუძლებს პატარა ბუჩქი მაყვლის.
მე კი ვლოცავდი ნიადაგ, დღესაც ვლოცულობ მათთვის,
უფლის ნათელი მიადგა უწმინდეს ტაძრებს ქართვლის.
დილით ხატის წინ დაჩოქილს ვინ დამავიწყდა, ნეტავ,
ვისი ნატვრა და ნათრთოლი მაქვს მისატანი ღმერთთან?!.
მადლი ანთებულ კელაპტრის ჭირშიაც უნდა გწამდეს,
ქალი დედაა ყველასთვის, როცა ღმერთს უნთებს სანთელს!

სანთელი, უფლის ნაკურთხი, აქ ჩაუმქრალად ენთო,
ღვთისმშობლის წილხვედრ ამ კუთხეს კალთას ვაფარებ, ღმერთო!

რეზო ესაძე

ნინო

დიოკლეტიანემ მოიკითხა ასული, _ რიფსიმე, რომელიც
წასულიყო ბინდისმიერად (ნება ღვთისა),.. აღმატებული უმტკიცეს რწმენით, ხელში ჯვარით _ იმპერატორის გაექცა ვნებას: გაიკის მთებში შეეფარა მორწმუნე დათა, მაგრამ იქ იქცა განქიქებად სომეხთა ძმათა, იმათ მეფისგან შეყვარებული და ალმაცერი კვლავაც იგი გადგა ჯიუტად, ამიტომაც დებთან ერთად იქნა აკუწულ. გადაყრილი მათი სხეული ნადირმა დახრა.
დათაგან ერთმა, გადარჩენილმა, ვაზი შეკრა სხივებით
თმათა, წაიმძღვარა და ხატად მიეგო ივერიის მთათა...

ფარნაოზ რაინაული

შარავანდი
ნინოსი...

ნინო
გრძნობდა
იმავ ვალს,
რაც აქვს _
ამ ცას,
ან _ ამ მთებს...
გზას _
ტაძრისკენ
მიმავალს,
კვლავ რომ
ღვთიურ
ანათებს...

გზამ _
ვაზის ჯვრით, _
მწველითა

იბრწყინოს და
იბროლოს,
ვით _
იესოს რწმენის და
სიყვარულის
სიმბოლომ...
წლები _
მიჯრით მიდიან,
ვხარობთ
დროის მიმოსვლით,
რწმენით _
ნეტარ დიდია
შარავანდი
ნინოსი!..

იესოს რწმენით...

დრომ _
კუნაპეტი დაუმკვიდრა
წარმართებს,
ნავსებს...
ვინც არ იწამა,
მან _
საქმით და...
სულითაც ივნო...
კაბადოკია! _
ცა _ ზამბახი, _
ვარდებით
სავსე...
იესოს რწმენით _
ზე, _
მზესავით,
ასხივდა ნინო!..

ბოდბეში ერგო:
მიწის უბე, _
სულ,
ორი ადლი...
უსამანოა _
ნინო წმინდის
ღვთიური
მადლი!..

ცირა ყურაშვილი

წმიდა ნინო

ნუში ჰყვაოდა მას ჟამსა,
დედოფალო, ორბის მზერით
როს აერთა სიმაღლიდან
ფრთები მცხეთას მოუტევნი.
საკვირველი, საღმრთო სრბაჲ
დედოფალო, ნიშს დაიდებს
ნაკლებ _ დედაკაცობით და,
მეტად _ მამაკაცებაჲთ.
ხედავ _ ღმერთად ხადენ რკინას,
გამობერვით განჭედილსა,
ხედავ _ ჩვილებს ვითარც თივას,
ვითარც თივას ესრეთ თიბვენ;
და დაუბრდღვენს ძალი შენი
ძუ ლომივით რვალის ქვევრებს,
დაუბრდღვენს და იმავ კერპებს
აქეთ-იქით მიარეკებს.
დააცხრება სეტყვის ქვებად
წამხდარ ვაზებს, ქვევრის დურდოს,
თუ ვიგლოვოთ, ჩვენვე შევსვათ
იმ კერპების ნაცარტუტო.
დედოფალო, ძალით შენით,
სრულის მამაკაცის ძალით
ორშიმოთი ამოგვქონდეს
დროშმის* ჩამოფქვილი რვალი.
დედოფალო, ბაგით შენით,
ბნელის ნათლად გარდამქცევით,
ჯურღმულით აღმომდინარით,
წყაროით დაუწყუედელით;
დედოფალო, ხატით შენით,
თეთრად აფეთქილი ნუშით
ტკბილი უფლის თანალმობით
ქართლი ნუღარ მოიქუშვის.

***დროშმი** _ ყოელთა კერპთა სახელი არს

ერეკლე საღლიანი

წმინდა ნინო

ფარვანის წყალს ნისლის ჯარით
ფარავს წმინდა ქალწული,
მოდის, უძღვის წინ ხის ჯვარი,
ვაზის ცრემლით ასხმული.

გვერდზე გადგნენ თეთრი მთები.
სანთლად იწვის მაშვრალი.
მიწის ძახილს გრძნობენ თმები,
თმები _ ქარში გამშრალი.

დრო, თვით სვავი, მყივარი და
ბრუნავს, როგორც ფანტელი.
თავზე ადგას მყინვარი და
სულიწმინდის ნათელი.

მივა მცხეთას, ავა წობეს,
უფლის მადლის ტარებით,
ჩვენს სიმშვიდეს სდარაჯობენ
სადაც ზეცის კარები.

ტალანებში სისხლი მსხვერპლის
დუღს, ვით თესლი მამონის.
არა ქმნათო თქვენში კერპი,
არც უფსკერო ბომონი.

ფარვანის წყალს ნისლის ჯარით
ფარავს წმინდა ქალწული.
მიდის, უძღვის წინ ხის ჯვარი,
ვაზის ცრემლით ასხმული.

ლელა ცუცქირიძე

წმინდა ნინო

ჯვარი, როგორც ჩიხტიკოპი,
ხურავს მცხეთას,
მოდის მტკვარი, კი არ მოდის,
მორონინობს,
მაყვლოვანში ენას იდგამს ჩიტის ბარტყი:
ნინო,
ნინო...

მე ვინ ვარ და... მე _ არავინ,
არაფერი...
შემეწიე, რომ ჩიტივით
გულმა გიგრძნოს,
მარცვალ-მარცვალ გაბნეული სინანული
მაპოვნინო...

დგას სამთავრო, იით ეზოდანისლული,
კვირტებს, როგორც ზანზალაკებს
არხევს სიო,
მაყვლოვანში ერთი ბეწო გალობს ჩიტი:
ნი-ნო,
ნი-ნო...

მიხეილ ჩაჩუა (მიხა კოლხი)

ჩემი ნინოწმინდა

“მოდიოდა, ნინო მთებით მოდიოდა”
ანა კალანდაძე

რა დღე იყო! კურთხეული ის დღე
ხსოვნას შერჩა ძვირფას რელიკვიად.
მოდიოდა, მოდიოდა მთებით
და მოჰქონდა ჩემი რელიგია.

ცამან უცებ გადიყარა ნისლი,
სიხარულის ცრემლმა მიმოწვიმა!
დაჩოქილი ლოცულობდა მზის წინ
ჩემი ნინოწმინდა.

მოდიოდა, მოდიოდა ისევ
შეჰხაროდა წიფელსა თუ ცირცელს,
ხეებს შორის გამონაჟონ ცისფერს
და თვალები გაურბოდა ცისკენ.

რა დღე იყო! რა ზღაპრული ხილვა _
მოდიოდა ანგელოზის ხლებით
და ძალიან, ო, ძალიან ფრთხილად
ცა მოჰქონდა დაღალული მხრებით.

ხეობაში ჩაიწურა ნისლი;
სიხარულის ცრემლმა მიმოწვიმა.
დაჩოქილი ლოცულობდა მზის წინ
ჩემი ნინოწმინდა!

თამარ ლომიძე

წმინდა ნინოო...

წმინდა ნინოო...
დაცვარულო თაფლის სანთელო,
მთვარის სინაზევ,
უფლის ცრემლო,
ჟამის მთენარო,
უმანკო კრავო,
ნათლის თმებით შეკრულო რწმენავ,
საქართველოსთვის
დაწურულო საღვთო მტევანო.
სვეტო ცხოველო,
საქართველოს ძალავ და მადლო,
კვართის მესაყდრევ,
კვერთხო პირველ,
მცველო გრაალის,
ცად
ქართველთათვის აზიდულო
ღვთის კელაპტარო,
სულის მირონო,
ნათელჯვარო,
ფესვო თამარის...
მზესავით მწველო,
ამოჭრილო ზეცის სარკმელო,
ორთავე სოფლის
მწყალობელო,
მანათობელო,
სალოცავივით,
სიტყვასავით მყარო და მრთელო,
სიმართლის მხვნელო,
ერის ხსნაო,
ერის საყდარო.
სიყვარულისთვის დაფენილო
ცის სასწაულო,
ხატო ხილულო _
უკვდავების საგალობელო,
მარადისობის ნატერფალო,

ხმაო სიცოცხლის,
საქართველოსთვის დანთებულო
დედათუფალო _
წმინდა ნინოო...

შოთა ზოიძე

ნინო კაპადოკიელი

ნინო რამიშვილს

სადაც შენ გაივლი, სვეტი ცხოველია,
სულის უკვდავება დაუცხრომელია,
იქ ურწმუნოება უცხო ცხოველია,
ჩემი სიამაყე სვეტიცხოველია,
ჩემი უკვდავება სვეტიცხოველია!

შენ, კაპადოკიელო წმინდანო, ნინო,
როცა ურწმუნოებამ დაიდო ბინა,
უფალმა შენი თავი მომივლინა,
მე შენ მაზიარე უფლის ჯვარს და მირონს,
ჩემი უკვდავება სვეტიცხოველია!

მცხეთისქალაქს, იქ, სადაც უფლის კვართია,
შენ შავი ღამეები თეთრად ათიე,
შენ იქ ურწმუნოება თმებით ათრიე,
ახლა იქ შენი თეთრი ათინათია,
ჩემი უკვდავება სვეტიცხოველია!

ვაგებ ეკლესიას, წმინდანის ფრესკიანს,
პირჯვარს გარდვისახავ, ვითარცა წესია,
ასე და ამრიგად ხომ უკეთესია,
კაპადოკიელო წმინდანო, მესიავ,
ჩემი უკვდავება სვეტიცხოველია!

განმანათლებელო, უფლის მეგობარო,
მინდა სულითა და ხორცით მოგებარო,

ისე მომენატრა შენი საუბარი,
ჩემი გაზაფხულის მერცხლებს დავაბარე –
ჩემი უკვდავება სვეტიცხოველია!

ნინო ბაქანიძე

გზა შეუცნობელი

მზემ ჩაიწურა დალალები ბალღის თვალებში,
სარა ნიაფორს კდემა-რიდით მოუხმობს ნინო:
“უტკბესო ძიძავ, მექმენ სხივად უკუნ ღამეში,
იესოს გზებზე, მის ვნებებზე, გვედრი, მასმინო”.

მაცხოვრის ხატთან მუხლმოდრეკით ლოცულობს სარა,
მხსნელს შეავედრებს მერამდენედ უმანკო ასულს.
კუალად დახრილი სასთუმალთან, გალობის დარად,
ჰყვება, ვით შეხვდა უდაბნოში იესო ავსულს.

ნინოს კი სძინავს და სიზმარში მამა _ ზაბულონს
სჭვრეტს ვით მავალსა უდაბნოში იორდანიის.
მძაფრ მონატრებას ხმა ციური უმალ გაუქრობს:
“დრო ახლოვდება, აღსავლის ბჭეს ღირსი განივლის.

ილოცე, ბალღო და იესოს მადლით ცხებული
დაითმენ ყველა შეჭირვებას, ჟამსა ულმობელს”...
და ელის ნინო, მხურვალ ლოცვით განათლებული,
როს დაადგება მაცხოვრის გზას, ჯერ შეუცნობელს.

მალხაზ მაჭავარიანი

ჰიმნი წმინდა ნინოსადმი

უფლისა ქნარო _ დედაო ნინო,
უქრობ ნათელით მზეშემოსილო...
გვინათებ გზას და გზაგანვლილ წარსულს,
რწმენის ქუხილით აძრწუნებ ავსულს...

შევხარით შენს ხატს _ ვეამბორებით...
შევსთხოვთ, აკურთხო ერი ცხოვნებით...
და სანუგეშოდ გვიღიმი თითქოს,
ჩვენგან სიწმინდით ცხოვრებას ითხოვ...

სულისა ქნარო _ ნეტარო ნინო,
უქრობ ნათელით მზეშემოსილო...
(შენს სხივნაწნავით ელვარებს ჯვარი, _
ჯვარი ვაზისა _ სამოთხის კარი)...

გვლოცავ იმედით სავსე თვალებით,
საღმრთო ხორცს და სისხლს ვეზიარებით
შენი წყალობით... ქალწულო ნინო,
უქრობ ნათელით მზეშემოსილო...

სალხინებელ ცვარს გვაცრი ღრუბელო,
მირონმდინარე სვეტის სურნელო...
და ჰიმნს გიგალობს ვარდი თუ ია,_
ჩვენ მათთან ერთად: ალილუია.

ნუკრი ბერეთელი

წმინდა ნინო

ისე დიდია სიწმინდე შენი
რომ დღესაც კრძალვით ვკოცნით ნაფეხურს
ქართულ მიწაზე რომ დაამჩნიე შიშველი ფეხით...
წინ მოგიძღვოდა ჯვარი რამეთუ,

საკუთარ თმისგან შეკრულ ლერწების _
მას შემდეგ ვაზიც სიწმინდე გახდა ქართველი კაცის;
მტერი კი წახდა, წახდა, წახდა...
იმძლავრა მაინც,
მობრუნდა გზიდან და
ვერ მივართვით
ვაზისფესვებგადგმული მიწა, _
არამი იყო.

ხშირად ამბობენ, დრო არისო დაუსაბამო _
სულ მიდის, მიდის...
მე ეგ არ ვიცი.
ვიცი მხოლოდ, რომ ერთ საღამოს,
შესაყართან მტკვრის და არაგვის,
ერთ მაყვლის ბუჩქთან
ეგ დროც გაჩერდა...
“ჩამოჰკრეს ზარებს მომავალის საქართველოში”.

და დაგვამადლე ფრთებდახრილი ჯვარი, წმინდანო.
“ჯვარი ნინოსი” _ ასე უწოდა მას თავად ერმა.
არავინ უწყის, ასე რატომ გამოგვარჩიე.
სიამაყისთვის ხომ არ მოგვეც ჯვარი ასეთი, _
თავმდაბლობა გვესწავლა ცოტა...
თუ, ერის ტვირთის სიმბოლოა, თანდაყოლილის?
იქნებ ამან დადრიკა ჯვარი...
და მაგ ვაზიდან ბოლო ცრემლი სადაც ჩამოწყდა,
(ვაზის ცრემლებზე ზვარში გავლილს ახლაც მაბოდებს)
იქ სათავეა ქართველ დედის ცრემლის წყაროსი.

მერე კი, მერე:
ყოველ მთის წვერზე შენს ჯვარს ვდგამდით, წმინდანო, რათა
არ შეხებოდა მტრის სიბილწე შენს წმინდა კალთებს,
ზღვა ცრემლის ფასად, სისხლის ფასად _ ზღვა სისხლის ფასად _
დღემდე მოვედით.
დღესაც დიდი სიფრთხილე გვმართებს.
ისევ მოგვხედე, ისევ, რამეთუ,
ისე დიდია სიწმინდე შენი,
რომ დღესაც კრძალვით ვკოცნით ნაფეხურს,
ქართულ მიწაზე რომ დაამჩნიე შიშველი ფეხით

ნინო ქადაგიძე

წმიდა ნინოს

შენ ლოცულობდი...
თეთრი გველივით,
მორკალულ მთვარეს
გვერდი ეცვალა,
იყო საღამო და
იყო დილა,
არმაზის მთაზე
სეფეწულთა
რიტუალი ძველი
მინავლდა.
მზე, სხივის ჩხირით
ქსოვდა ჯვრისთვის
ფარჩის საფარველს
და დედა ღმრთისა,
დაკვირტებულს,
ისხლავდა მკლავებს,
რძე გასდიოდა
თბილ თითებიდან მას
“ძილსა შინა”.
შენ ლოცულობდი...
მაყვლოვანში ღაღანებდნენ
ღმრთის კალთიდან აფრენილი
თეთრი ხუნდები
და შენი კაბის ბოლოსავით
შრიალებდა სამეფო ბაღი.
თეთრი გველივით
მორკალულ მთვარეს
ისევ ისე,
გვერდი ეცვალა...
იყო საღამო
და იყო დილა
და ჰგავდა მცხეთა
იერუსალემს.

ანა ერისთავი

წმიდა ნინო

მადლით მოგვხედა ღვთისმშობელმა,
_ ჯვარი აკურთხა,
ზვარი ახარა ქართლის ბაღში
_ ნაზმა ქალწულმა,
ნაფეხურებზე ია ხარობს,
კაწარკუწურა,
ლოცვით განბანა
ცა და მიწა,
დალალდაწნულმა,
კალთა სავსე აქვს,
სუმბულით და ყაყაჩოებით,
შუბლზე გვასხურა აიაზმა;
კვლავ სასოებით.

მურად მთვარელიძე

ნათელს იღებს მირიან

მცხეთის ბჭესთან მოგვი რასმე უბნობს,
ვარდის რტოზე ბულბულები ტირიან,
ლოცვადა დგას მაყვლოვანში ნინო,
შენ სად მიხვალ, მირიან?!

არაგვს თავზე წაადგება ბინდი
და ნათელიც ახლა უფრო ძვირია,
შენ კი გული რად არა გაქვს მშვიდად,
ვის დაეძებ, მირიან?!

მაღლა ცაა _ ლაჟვარდების ცეცხლით,
დაბლა მცხეთა, სადაც შენი ძირია,
სულში ბრწყინავს ოქრო, განა ვერცხლი,
რას შეჰყურებ, მირიან?!

ნუთუ ქრისტეს აუმღერე ქნარი,
ნუთუ ქრისტე შენი რწმენის კირია?..
მაყვლოვანში წმინდა ნინოს ჯვარით,
ნათელს იღებს მირიან.

აწ ყველაფერს სულ სხვა თვალით უმზერ,
ეს დიდებაც ახლა ბზე და წვირია,
ნინოს ჯვარს რომ ჩამოიფენ გულზე,
ნეტავ რას გრძნობ, მირიან?!

ივლისის მზე წამით წარბებს შეჰკრავს,
ეს ლერწამიც ახლა უფრო სტვირია,
მცხეთა ბინდით იმოსება, შენ კი
ქრისტეს ნათლით, მირიან!

ირგვლივ ცაა მშობლიურზე მეტი,
მიწაც ახლა ასგზის უფრო ტკბილია,
მაყვლოვანში შეხველ როგორც მეფე
და წმინდანად გამოხვედი, მირიან!

იამზე ალველაძე-ხეცურიანი

სამარადჟამოდ

ჯვარი დაგვყურებს
მეფურად,
სავსე ციური ალერსით,
მარტო მოკეთეს კი არა _
მტერსაც მონუსხავს დაგესლილს.
მწვანედ ბიბინებს
არმაზი,
ჭალას გაუდის ხასხასი,
მტკვარიც მდოვრედა

მდინარეს,
ლაპლაპებს როგორც ატლასი.
ორ წყალთაშუა ედემი
სიამის გრძნობას
გვანიჭებს,
გაბრწყინებულა მირონით
სვეტიცხოველის კარიბჭე!..
აქ, შემოსულა პირველად
ნინო, _ ღვთისმშობლის
წყალობით,
რომ განენათლა ივერნი
ქრისტიანული გალობით.
ხელთ ეპყრა ჯვარი
ვაზისა
მოსდევდა ხევ-ხევ
ბილიკებს,
ნასისხლარ-ნატერფალებით
გულზე ცეცხლის ალს
გვიკიდებს.
ტანთ გაცვეთოდა სამოსი
მაყვლიანით და ასკილით,
დადევნებული ქარებიც
ახლაც ნინოს ხმით
გაჰკივის!
მან აღასრულა ღვთის ნება
არ იყო ეს გზა იოლი,
ერთურთს უხმობენ
ზარები
ჯვარის, ბოდბეს და
სიონის.
.....
ვერ მოისვენებს
ურჯულო
(სად გავექცევით ქარ-წვიმებს),
სამარადჟამოდ ვემთხვევით
ნინო! შენს წმინდა ნაწილებს!!!

რონა ბუბუტეიშვილი

ნინოს ჯვრით

ბოდინის ჭალაში დაათოვს ასკილებს,
სად ხმაა არვისი და არარაისი,
წარმართთა კერპების დამსხვრეულ ნაწილებს,
ცა ფანტავს ნისლებად ,,ცდომილი" აისის...

ჯვრის ნიშით დაწყებულ გზას უკვდავებისას,
გზას განკურნებისას ვნებული მოგვების,
წმინდაო, მათ შენი ნათელი ეღირსა,
წმინდაო, შენთან ვართ, ფეხდაფეხ მოგყვებით!..

ჯავახეთს მზე დათბა, ვით ერთ დროს კოლასტას,
და მწუხრი არმაზის კედლებად დაიმსხვრა,
ველური ვარდები ყვებიან სონატას,
და მიწას ქართლისას ჰკოცნიან ნაისრალს...

დღეს ისევ გვჭირდები, ვით ერთ დროს მირიანს,
მზეშემობინდული ცის აიაზმებით,
დღეს ისევ გვჭირდები, სულს შერჩენილი აქვს,
იუდას ღალატის კვლავ მეტასტაზები...

ბოდინის ჭალაში ძველ სამარხებიდან,
იღვრება სინათლე, სითბოს და სინორჩის,
ნინოს გზით ქართველნო! წარსულის გზებით და
მომავლის ბილიკით, კვლავ წმინდა ნინოს გზით!

ელგუჯა ლებანიძე

ღვთისმშობლის მოციქული

გადმოიარა ზღვა და ხმელი
სულით გრძნეულმა,
ღვთისმშობლის ნებით ქართლოსიანთ

ქვეყნად წვეულმა.

გზად ქარიშხალი და ხორშაკი
ავად დაობდა,
მაინც ვიდოდა, მედიდურად
მონანაობდა.

არადა სუსტი, ფრთაფარფატა
იყო ასული,
ქრისტეს მცნებით და მსახურებით
ღვთისგან დაცული.

ჯვარი ვაზისა მოუძღვოდა
რწმენის ფარადა,
მობრძანდა მცხეთას და ღვთის ენით
ალაპარაკდა.

მადლობა უფალს მასპინძელიც,
დახვდა ქებული,
სამშობლო ქვეყნის ერთგულებით
გულანთებული!

დღესაც მკვიდრობენ სადიადო
წმინდა ტაძრები,
კვლავ ბრიალებენ ანთებული
რწმენის ხანძრები.

.....
ჩემო კახეთო, უკვდავების ხარ მესამანე, _
შენ გაბარია რადგან ნინოს წმინდა სამარე.

დავით ტიგინაშვილი

წმინდა ნინოს თმით
შეკრულო ჯვარო!

იანვარში, როცა მთებზე ჩამოთოვს,
მცხეთის ჯვარზე გაბრწყინდება სამება,
საქართველო სანთლის შუქზე ლოცულობს
წმინდა ნინოს ქართლში შემობრძანებას.
ნინოწმინდის ღამევ ვარსკვლავიანო,
ქარიშხალში წამოყრილო ჯარო,
ქრისტიანულ სამყაროთა ტაძარო,
წმინდა ნინოს თმით შეკრულო ჯვარო,
ქვითკირივით გაგვამაგრე, შეგვკარი,
აგვამაღლე ვარსკვლავების ხომლამდი,
სამშვიდობოს გაიყვანე, გეთაყვა,
საქართველო _ როგორც ნოეს ხომალდი.

ალექსანდრე დიდებაშვილი

წმიდა ნინო

მცხეთას აჩნია
წმიდა ნინოს საღმრთო ხატება,
სანთლის სხივს გასცემს
მაყვლოვანის კარის გაღება.
მადლიან მიწას
აღარ ადგას კერპი საზარი.
ლოცვა კვლავ არის,_
სადიდებელი ხმა _ მაცხოვარის,
ლერწების ჯვარი
თმების სურნელს
კვლავაც გამოსცემს...
ქვათა ღაღადი

და სიწმინდე,
დიახ, გვაოცებს.

.....
უფლის ღირსად
მიგვიჩნია წმიდა ნინომ,
და ისურვა ღმერთის მადლით
გაგვაბრწყინოს...
და მრავალი საუკუნე
გვსახავს ჯვარსა,
ზენაარით გზას გვილოცავს
სანუკვარსა.
თმის სურნელი დაუბედა
ვაზს და ღვინოს..
აგვამაღლე!
ცათა შინა, წმიდა ნინო.

ვაჟა ოთარაშვილი

წმინდა ნინოს მონატრება

დღეს უზნეობა მიღებულა თურმე კანონად,
თვალახვეული თემიდა რა ურწმუნოდ მოთქვამს...
გადუქცევია ეს ქვეყანა მონად მამონას _
რუსს _ ოსეთს სჩუქნის,
დიდ აჭარას _ ოსმალოს ხონთქარს.....
ამღვრეულია ჰარამხანა _ ტელეეთერიც,
გაშიშვლებულნი რას ლაყბობენ აღარ იციან...
აბესალომის მურმანს უზის ხარჭად ეთერი
და სიყვარული სულ ტყუილად დანაფიცია...
რას განაბულხარ, საქართველოვ! ყველა მწევარი,
კბილალესილი, დღესაც შენზე დაგეშილია...
გრიგოლ ხანძთელი მიივიწყეს _ ერის მწვერვალი,
საგურამოშიც სასჯელს იხდის დიდი ილია...
სატუსაღოში ჩაუსვიათ ვაჟაც, აკაკიც,
უკვდავ რუსთაველს პატიმრობას მუდმივს უსჯიან...
არაბ ამირას გაუშლია ისევ ბანაკი
და ანჩისხატის სამრეკლოზეც ზარი მუნჯია...
ზოგ ეპისკოპოსს დოლ-გარმონით დაჰყავს იუდა,

აღმაშენებლის საფლავს ბილწავს ლოშნით უგვანო...
ერი და ბერი ეხლა ისე გადამთიელდა,
“მრავალჟამიერს” ჟამთგამრიგეს აღარ ვუგალობთ...
კვლავ იმარხება ყველას თვალწინ ენა ქართული,
თვალცრემლიანი იმზირება ბერი ზოსიმე...
ახლაც გვჭირდება წმინდა ნინო, ჯვარშემართული,
რომ ცის მანანამ ივერიას ისევ მოწვიმოს!..

გივი ილურიძე

მოციქულთა სწორის
ვერბალური ხატი აღაიანში

ახედა ცას ნინომ და თქვა: “მილხინე”.
და შერჩა წყაროსთავსა ამას _ სახელად _ “მილხინე”.

მღეროდა რუნი:
“დელოვ, რანუნი!”
გიმწვანდა მდელო,
მიწავ, გამდელო!

ღვთის დღეა, მნათი
“ქრისტე აღდგათი”, _
ნაზამთრალ გულებს
აგაზაფხულებს;

დიაცის იერს, _
დია _ ცისიერს,
აქნარებს ზეცა
ბაღნარებზეცა.

ბაღნართა ალი, _
მთაბართ გრაალი,
მოწამედ ყველა
(დროც) ამეტყველა.

ჯვარ-ვაზიანი,
არმაზიანი
დალოცა ერი,
კალოც... ჰაერი!

და ჰა, იანიც
აღაიანი _
თვალსა ჰყვა ბჭენით,
გადასარჩენით!

ეთქვა იქ, ნინოს, _
“ღმერთმა გვილხინოს!”
(ამინდია და
ხმამ იდიადა):

“_ ცალსახად ღირსნო,
ცათ საკადრისნო!
მზე გაგვისამა
დედა-ღვთისამა!

მაღლით მყოფი მწამს,
დაგითბობთ მიწას,
_ დაიშვეს უნდა!
_ აი, შესრულდა! _

მკვიდრად ინება
თვითდადგინება
და როგორც გვინდა, _
წამოღორძინდა!

გაბრწყინდეს ნება
(გზანიც გვეხსნება), _
მოძღვარი გვყავდეს,
ლოცვა გვიყვარდეს!..

გათენდა ბინდი,
ნათელ, დადგინდი,
_ გვამყოფე თმენით,
მადლო ბეთლემით!

_ ვიხილე ია
(“მილხინეია”)! _
სახელიც ღირსად

ვსახე მიწისად.

ინებოს ზენამ
ივერთ მოსმენა
(აღმართულთ? _ არა), _
მდაბალთ მუდარა:

_ უფალო, გვიხსენ,
ურვა მოგვიხსენ...
გვიღიმე დედა,
მილხინეზედა! _

უხდება შენი
ბუდე-ნაშენი
(მრწამსი ჰყვა ბუდეს),
_ გასიყვარულდეს!
. . . . . .

_ მე, წმიდა ქნარმან,
ზეცით გამთბარმან,
მოყვასი ვნათლე,
მომყვა სიმართლე!

მით დავთმე თავი
მზით გამხედავი, _
ქვეყანავ, _ ისე
გემარადისე!”

ნოდარ არდოტელი

ნინოობა

მაყვლოვანებში, როგორც შვლის ნუკრი,
ვაჟას გრძნეული თვალით ხილული.
მღელვარებით თრთი, თითქოს მენუკვი,
რომ ქრისტიანის მიძგერდეს გული.
მე ფხოველი ვარ, მაგრამ არ ვიცი,

მამა-პაპათა მაკვირვებს გარჯა;
ქრისტეს ჯვარს მათაც რატომ არ ჰფიცეს,
ან ასე უღვთოდ რად დაიხარჯნენ?
ნაზ ფურცლებს შლიან ირგვლივ ვარდები:
“გვწყურია შენი ცრემლების ცვარი!”
ო, ღაწვზე ატმის ფიფქი გადნება,
ასე სათუთი და საოცარი!
ნასხლავებისგან ჯვარი შეგიკრავს,
რაც შევიტკბეთ და რაც შევიდედეთ
და განგივრცია ქრისტიანობა
ივერიაში კიდით კიდემდე.
ჩავიცვი რწმენის ჯაჭვ-მუზარადი,
აღარც წავიყრი, რომც მემუდარო.
დიდება შენდა აწ და მარადის,
ქრისტიანობის ნავთსაყუდარო!

თამარ ფარჩუკიძე

ფერიცვალების ღამე მცხეთაში

საქართველოში ყველაზე გავრცელებული სახელია ნინო.

იმ ღამეს, როცა მეფის პალატნი,
წარმართთა ლხინით იყო ნათენი,
იმოსებოდა კერპთა ქალაქი,
ღვთივ საზეპურო ერის ნათელით.

იძრა სოფელი, ცას გადუვლიდა
და განკვეთავდა ალთა კრებული,
მიწას იჭერდა კვართი უფლისა,
ებრაელ დედას შემკერდებული.

გმინვა-გოდების ისმოდა ხმები,
მეოტ ეშმათა, მით ბევრეულის,
სისხლი, სამსხვერპლოდ შეწირულ ყრმების
იხილვებოდა წყალსშერეული.

ზათქი და ზვავი კერპოვან რღვევის,
ჯერ არ სმენოდა, თურმე, არავის,

შეამდუღრებდნენ ტალღებს ამღვრევით,
მდედრი მტკვარი და მამრი არაგვი.

არმაზის ციხით, ბაგინეთიდან,
შერისხულ მთათა ხმაჰყვეს გუგუნის...
უნდა მლოცველი ბაგით გეთია,
დედავ, იმ ღამეს სულის უკუნი.

უნდა მდგარიყავ ნეტარი მწყემსად,
მსახურ-დედუფლის სვებედნიერით,
და... გიხაროდენ, თვინიერ შენსა
არა არს დედა ქვეყნად ივერის!

ეუნჯებოდა ღმერთების ღმერთი,
“მუნ აღმობრწყინდნენ ოდეს მთიები”,
ჯვარნი დაადგრნენ ბოდბეს და მცხეთას,
მონანიების და პატიების.

განქარდა ურვა _ ხმათა სასტიკთა,
დილა სისხამით და ნაცვარებით,
იყო მეექვსე თვეი მარტითგან,
დღე იყო ქართლის ფერიცვალების...

ახლა მთვარე წევს არაგვის კარზე,
ცურავს სანთლისფრად და ნება-ნება,
ანტიოქიის ზარების ხმაზე,
მწუხრი საცისკროდ განიბანება.

ლიტანიობის ღამე ამაღლდა,
კეთილსუნნელი აუდის მირონს,
მუცლადღებული ყრმას შობს ამაღამ
და რა თქმა უნდა, დაარქმევს ნინოს.

ამაღამ, დღესაც და ხვალის ხვალაც,
ხარისთვალათა მწვანე ბარდნებით,
საქართველოში, გულგასახარად,
ყველაზე უფრო,
ყველაზე მეტად,
ყველაზე ბევრჯერ დაიბადები!

ზოია ვაშაკიძე

წმინდაო ნინო, დიდება შენდა!

ველის შროშანო, სხივო ციერო,
სულისა ქნარო, ქნარო ხმიერო,
ღვთისმშობლის ნებით, ქადაგად რწმენის,
მოსულო ჩვენდა საბედნიეროდ.
მაშინ ქართლისა განიხვნა კარნი,
როს გამობრწყინდი თმით შეკრულ ჯვარით,
შენ ჩვენთა რწმენის დაც ხარ და დედაც,
წმინდაო ნინო, დიდება შენდა!

ანა სულხანიშვილი

წმიდა ნინოს

(ხილვა)

ვითარ ცისკარი აღეღებოდა,
წმიდაო ნინო! შენდა ვიყავი,
მაყვლოვანში ლოცვად დამდგარი.
სისხლსა და ჯილაგს, ნათესავს ჩემსას,
ნათესავი უცხო, ჰრომაელი,
ვფიცავ მაღალ ღმერთს,
არ თუ ოდენ სახელად,
ბორკილად გედო.
მეც პყრობილი და ბორკილეული
გედექი მხარში და შენთან ერთად
შთამომესმოდა, ის სამი სიტყვა,
ნათლითმკობილი ჭაბუკის თქმული.
ჩვენ ორისა და უფლის ძის მეტმა
არავინ უწყოდა გულისგულში
ჩაბუდებული სახმილი ჩვენი.

აწ, შენმა სულმა მეორეული შეიძინა
ხორციელება და უკვდავყოფით სახელისა
განივთდა წიგნში, მე სივლტოლვაი
ნიადაგი თვისტომის მკვლელთაგან
მხვდომია წილად, მსგავსად ძის უფლის
და უსახელო მლოცველ სულად
და თანმდევ სულად ჩემი ქვეყნისა,
ახალ-ახალი იარებით დანასისხლარით
გადავდივარ საუკუნიდან საუკუნეში!
გადავდივარ საუკუნიდან საუკუნეში!

ლინა ბარათაშვილი

წმინდა ნინოს

ღვთისმშობელის
დამოძღვრილი გზებით,
წმინდა ჯვრით და
ქრისტესმიერ გზნებით
მაყვლიანში თაყვანსა გცემთ
ჩოქვით,
გევედრები,
ერთხელ კიდევ
მოდი!
ისევ იმ გზით
კვლავ მოგიხმობს
ქართლი,
ქრისტეს მცნებით
მოგვაქციე ახლით,
რომ კვლავ იყოს
დალოცვილი შვიდგზის
საქართველო – სათნოების
სახლი!
შეგვიბილწეს ფსალმუნი
და ჯვარი.
შეგვესია ,,სარკინოზთა”
ჯარი.
ქართველ ჯალ-ალ-ედინებს

და ყრუებს
ხელთ უპყრიათ
ცრუთა რწმენის
ჯვარი...
გულზე გვადევს
დარდის მძიმე ლოდი
და არ ვიცით,
მოვიშორებთ როდის?
ისევ ისე აწამებენ
ქრისტეს,
გოლგოთაზე
სისხლის გუბე დადგა.
სული კივის,
მაცხოვარი ვერ ცნეს,
ჭეშმარიტი აღარ უნდათ
კაცთა...
შეგვინგრიეს
უფლის სახლის კარი,
ჩამოგვაჭრეს მარჯვენა და
მხარი.
დგას თარეში
იაღოველ ბრბოთა,
სატანის და ჯოჯოხეთის
სწორთა.
სიმართლეა,
არ ვიგონებ ჭორთა.
ეს თარეში
წყალობით არს
ზოგთა...
სულის გვემა
ხორცზე უფრო მწარე,
გვაწამებს თან
მტკიცედ უნდა ვიდგეთ!
მოგვეშველე
გევედრებით, დაო,
საქართველო
დაიღუპა ვიდრე!
მოდი ისევ,
ჯავახეთით მოდი,
ფარავნიდან
მზის გამოჰყევ ფერებს,
ნაწამებს და
ქვით და ღორღით ნატკენს,
დაგიამებთ

ნაიარევ ფეხებს.
მესიზმრები,
ანგელოსთა დასით,
მზისებრ ბრწყინავს
ხელში ჯვარი შენი,
ფეხშიშველი,
ვით ლამაზი შველი
საქართველოს,
კვლავ ისევ შენ
შველი...
თანამდევო
ქრისტიანულ რწმენის,
ქართლის ბჭესთან
შეუცვლელად იდექ!
უფლის სახლით,
ხატით, ლოცვით, სანთლით
საქართველო
იარსებებს ვიდრე!

გივი გოგნაძე

მოქცევა

აჰა, გამოჩნდა სვეტი ნათლისა _
შვიდ წილად მზისა უბრწყინვალესი...
აჰა, იხილეთ, უფლის მადლითა,
ჟამი დაგვიდგა უნეტარესი.

დგანან ქართველნი ქედდადრეკილნი
და ღაღადებენ უფლის დიდებას.
განგების ძალო, ძალო კეთილო,
შენის წყალობით ქართლი ბრწყინდება.

თაყვანებანი რვალის კერპთანი
ქრისტეს სიყვარულს გადუწონია...
ღმერთს ადიდებენ, კურნენ კეთროვნებს,
ნეტარი ნინო და სიდონია.

უფალს ადიდებს, წყალობას ითხოვს,
ქრისტეს მორწმუნე მთელი ლაშქარი.
ამის მჭვრეტელი ნეტარებს ნინო
და ფხოვს და ჭართალს წასვლას იჩქარის.

და აურაცხელ სასწაულს ახდენს
ჯვარი ღვთიური ცეცხლის მთოველი.
მისი, ზეგარდმო, ნათელი მადგეს,
არ ვარ ამ ქვეყნად მეტის მთხოველი.

ცამდე ელვარებს სვეტი ნათლისა,
შვიდ წილად მზისა უბრწყინვალესი...
აჰა, იხარეთ, უფლის მადლითა,
ჟამი დაგვიდგა უნეტარესი.…

ნათია მახათაძე

მე წმიდა ნინოს ვთხოვე დედობა

მე წმიდა ნინოს ვთხოვე დედობა
და თან დავპირდი მის ნათელ სახეს,
შვილი მაჩუქე, დედად მაქციე,
უმალ დავარქმევ შენს წმიდა სახელს.
მანაც ისმინა ჩემი ვედრება
და ამისრულა გულწრფელი ლოცვა,
მისმა სიწმიდემ დამიცვა ცხრა თვე,
შენი გაჩენაც მის თვეში მოხდა.
აი, ამიტომ დაგარქვი ნინო,
ჩემო პატარა, ლამაზო შვილო,
გახსოვდეს მუდამ, გიყვარდეს მუდამ,
შენი გამჩენი, ის წმიდა ნინო.

ნუნუ ძამუკაშვილი

ჯვარი ვაზისა

რწმენა ძარღვებში უხმოდ დამივლის,
სანთლის ციმციმს რომ შემოაქვს სულში,
ცად ავმაღლდები, მზეს ვესტუმრები
თუ სიკეთისთვის მოძმეს ხელს ვუშლი.

ნინოს ჯვარია _ სხივი ნათელი,
გულში იმედის სხივებიანი,
უფრო ლამაზად გაცისკრდა ზეცა,
უფრო ლამაზად ჰყვავის იანი.

რადგან ის ჯვარი იყო ვაზისა,
ნინომ ქართლში რომ შემოაბრძანა,
ურწმუნოება გასრულდა მაშინ
და ქართველს შვების დაუდგა ხანა.

ქართველი დილას ვაზთან იწყებდა,
და ქრისტეს მცნებით მართლაც გადავრჩით;
თავისუფლების ჩვენ ვართ შვილები,
ვითარცა მთებში _ ჯიხვი და არჩვი!

მარიამ დედაბრიშვილი

წმინდა ნინო

ჯავახეთის მწვერვალებს
თეთრი ქუდი ეხურათ
და ლურჯთვალა ფარავანს
დაჰყურებდნენ მეფურად.

“ნინო მოდის!” _ აჩურჩულდნენ
თეთრი ფშატის ტევრები,
სიომ ფეხქვეშ დაუფინა
იასამნის მტევნები.
თან მოაქვსო ვაზის ჯვარი,
თავის თმებით შეკრული,
მოდის ქალი _ ქრისტიანი,
ქრისტეს რჯულის ერთგული...
მოდიოდა დიდი რწმენით, _
არ ახსოვდა არავინ,
დაასვენა მცხეთას ჯვარი,
შემოავლო კარავი.
ქალიშვილი მზისთვალება
სასწაულებს ახდენდა,
ლოცულობდა ქრისტეს რწმენით,
წმინდა სანთლებს ანთებდა.
მოაქცია ქრისტეს რჯულზე
მირიანი _ ურწმუნო,
გააკვირვა სასწაულით
ბევრი კაცი ურჯულო.
გაანათლა საქართველო, _
ქრისტეს რწმენით დალოცა,
შემდეგ კახეთს მიაშურა,
ბოდბეს _ წმინდა სალოცავს.

.....
დღესაც მისი შუქი ადგა
წმინდა მიწის სანახებს,
ნინოს ცრემლი არ უშრება
მოხასხასე ბალახებს...

ვიკა მჟავანაძე

ჯვარი ვაზისა

წაღი შეხსნია,
შემოცვეთია
ნაქსოვი წინდა, _
სოსანისფერი...
და მძიმე ტევრი
ხვეული ლერწზე,
ჩაწნული თმაში,
ვით ტვირთი ერის, მოაქვს ნინოს,
მოაქვს რუდუნით...
და ხიბლავს მთებზე
მზის ანარეკლი
და მტკვრის დუდუნი.
გზადაგზა ცვდება ნაქსოვი წინდა,
მძიმდება ჯვარზე გაკრული ტევრი...
ბოლოს და ბოლოს,
თვალი რომ ჰკიდა,
უეცრად შეკრთა,
და, როგორც იქნა,
წამოემართა:
_ ეს არის! მცხეთა!
და დაიბერტყა ფეხთაგან მტვერი.

მამუკა დემეტრაშვილი

ერის ხატი

ღვთისმშობელი უძღვნის კაბადოკიელ
ქალწულს ივერთ, თვალი რომ არ არიდა,
სულიწმინდის მადნის საბადო კი ერს
შთაეღვენთა ნინოს ვაზის ჯვარიდან.

ღვთისმშობლისგან ნინო მტკიცედ დარიგდა,
ნიჭს აფრქვევდა და სტოვებდა თან ას კვალს,
ქართლის რწმენა ტკივილთა მტკბობ ტარიგთან
დალალებით განუყრელად განასკვა.

ღვთისმშობელმა გახსნა მადლის სარქველი,
ივერთ ჯვარი უთავაზა ვაზიდან,
ივერია დღესაც გალობს: ვარ ქველი,
ღვთის სიყვარულს მისგან დრო ვერ გაზიდავს!

ქრისტეს რწმენას მამულში რომ ჯიჯგნიან,
მძლავრობს მძორი ბრძოლით ჯერ არ ნაცადით,
ნინოს ლოცვა მუსრავს ბრბოთა დინჯ გნიასს,
ლოცვა _ წმინდა სამებამდე რაც ადის.

ლოცვა აფრქვევს ცათა წიაღისეულს,
მის ლაჟვარდში რთულ ლაბირინთს ყრმაც ირკვევს,
ჯვრის ძალა ხსნის ხლართებს, დიაღ ის ეულ
სულს უმკვიდრებს ნედლად კედელ-საძირკველს.

სულს ჟამი რომ წვავს სიწმინდის მწოველი,
სასოება მასში ლოცვით იდება,
ბურჯად სრულჰქმნა ნინომ სვეტი ცხოველი,
ქართლში ნათლის მარადიულ დიდებად.

ნინოს ლოცვამ კერპები რომ შერისხა,
იწრთო სხივი სიბრმავეთა მბზარავად,
ქალწულ ნინოს, ვით მნათობს და ერის ხატს,
სულიწმინდა ჰფენს ფირუზის შარავანდს.

ღვთისმშობელი უძღვნის კაბადოკიელ
ქალწულს ივერთ, თვალი რომ არ არიდა,

სულიწმინდის მადნის საბადო კი ერს
შთაეღვენთა ნინოს ვაზის ჯვარიდან.

ცისანა თვალიაშვილი

ნინო, ჩვენო უწმიდესო დედავ!

ქართლის ბედზე რომ გიამბეს ერთხელ,
სიხარული გადაგექცა დარდად,
მაგრამ, როცა გაგამხნევა ხილვამ,
პირს ღიმილი მოგეფინა ვარდად.
აღარ მოგცა მოსვენება ფიქრმა
ღვთისმშობელის წილხვდომილთა ბედზე,
თმით შეკრული ვაზის ჯვარით ხელში,
გადმოდექი ჯავახეთის ქედზე.
დაივანა მაყვლოვანის ქოხში
სინაზემ და სათნოებამ შენმა,
განანათლა ბნელი დიდმა რწმენამ
და სიტყვამან სიყვარულის მშვენმა.
ავედრებდი ქართველთ მუდამ ლოცვით,
კრძალვით შენთან შესიტყვებას ვბედავ:
_ ძნელი იყო ეკლიანი გზაი?
ნინო, ჩვენო უწმიდესო დედავ!
ჰა, მას შემდეგ მოვდივართ და გვჯერა,
ვაზის ჯვარი გზას გვინათებს ყველგან,
თუმცა ბევრჯერ დაგვიჩეხა სული
ტიალმა და უნდობარმა მტერმა.
და ნათელი კვლავ დაფარა ბინდმა,
მერე თითქოს დაგვავიწყეს თავიც,
ლეგენდებად მოგვაჩვენეს იგი,
რაიც სწამდა თამარსა და დავითს.
საღათას ძილს დავეხსენით, მაგრამ,
ვით ეგების, მაინც ვერა ვხედავთ,
გაგვამხნევე და ილოცე ჩვენთვის,
ნინო, ჩვენო უწმიდესო დედავ!

ლალი ყვარელაშვილი

უფლისა სიტყვის მედროშეს _ წმინდა ქალწულ ნინოს!

შენ, საქებო ქალწულო, საქებართა ყოველთა,
მიარქმევდი მისარქმელს ცისიერთა შინა,
სუსტი მხრებით უზიდე ჯვარი ჯვართა მპოველთა,
მოგნათოდა იესო ბნელთა გზათა წინა!

არა ვარდს შეგადარო, არც გამსგავსო მთვარესა,
არა უღირს სიწმინდეს სიტურფეი გროშიც,
იათ სათნო ღიმილო, ნათობ არემარესა,
შენ ხარ მძლეთა მძლევარი უშიშობის დროშით!

ო, ვითარა წარმოხვედ, ვითარ გრჯიდა უფალი,
რომ დასთმე და დაუტევ დარბაზები ფართო,
ვინ გიწყოდა, ზვავი თუ ჩამორბოდა მუქარით,
თრიალეთის ქედი როს გადმოლახე მარტომ?

ყვავილოვან კორომთა მაყვლოვანი არჩიე,
ქედი ამპარტავნების დაუმდაბლე მავანთ,
უფლის სიტყვით უწამლე უწმინდოთა არჩივებს,
სულნი მათნი, ლმობიერ, ზეცასათმცა დავალნ!

ქართველთ ჯვარი დაუდევ სირწმენისა ნიშადა,
ყრუ კერპები დაუხსენ, მოახედე ზეცას,
რკინაი და სპილენძი გარდუქციე ქვიშადა,
განუცხადე ცხოველი სვეტი უფალ მცხეთას!

ბოდბეს მკვიდრხარ, ქალწულო, ნათელივით უზადო,
მკვიდრხარ, რათა მერმისმა არა ჰკარგოს რწმენა,
რათა უფლის სიკეთეს მოკეთენი უზარდო,
რათა ლიბო ივერთა განუმტკიცოს ზენამ!

ნათელკვალა ბილიკი დღესაც ბრწყინავს მრუმეში,
შენ რომ ცხოვართ უფინე, დაკარგულთა სადა,
გაუმზევე უკუნი ნუგეშინის ნუგეშით,
მოაქცივე რუდუნით მართლმავალთა გზათა!

ო, რამდენი გოლგოთა ერმა ჩემმა იტვირთა
და რამდენგზის დაინთხა სისხლად წმინდა ღვინო,
შემოგვედრებ სამშობლოს იმედითა დიდითა,
უფლის სიტყვის მედროშევ, სხივთმოსილო ნინო!

არჩილ მაღლაკელიძე

დედა ნინოს!

არმაზს მიჰქონდა წარმართთა ჟამი,
ხმა მზის გიხმობდა აქ, მაყვლოვანში,
ვაზის ლერწებზე ესვენა ქარი,
იწურებოდა ზედაშე ზვარში;
ოცნება დუღდა, როგორც მირონი,
იკურთხებოდა ემბაზში მტკვარი,
წამოიმართა სვეტი ცხოველი
და დაასვენა მაცხოვრის კვართი;
როგორც წყაროსთან დამფრთხალი შველი,
შემომეფეთა თვალებწყლიანი,
ხატისმიერი მკრთალი ნათელით,
მცხეთას მიგქონდა ვარდის სურნელი;
ვარდობის თვეში ნახე ქინძარი, _
როგორ გიწეწდა თმებს ზვარში ქარი,
თმის ნაწნავებით მაინც შეჰკარი
და გამოსახე ლერწებით ჯვარი;
ქალწულო ნინოვ, დედავ და დაო,
როცა გვიკურთხე ვაზისგან ჯვარი,
მზემ გაახილა ღამეში თვალი,
ცხადი იყავ, თუ იყო სიზმარი;
ოცნება დუღდა, როგორც მირონი,
იკურთხებოდა ემბაზში მტკვარი,
წამოიმართა სვეტი ცხოველი
და დაასვენა მაცხოვრის კვართი.

მედეა რატიანი

წმინდა ნინო

ქალწულო ნინო! შენი თმების მადლიან ტევრში,
როგორც ბაოში მოიჩრდილა სულმა ქართლისამ.
აკვანს არწევდა, თუ ვაზის ნაჟურს ასხამდა ქვევრში,
გაწარმართებულს შენ შთაბერე სული მართლისა.

ღვთივსათნო ღვაწლი აღასრულე ჯერ კიდევ ნორჩმა,
გზა-გზა უვნებლად გატარებდა ღვთისმშობლის ხელი
სუსტი თითებით ჯვრად შეკრულმა იმ ვაზის მორჩმა,
საუკუნეთა გაგვინათა უკუნი, ბნელი.

უცხო ასული, თითქმის ბავშვი იოცეს მწყემსთა,
სველს, მშიერ-მწყურვალს თავშესაფრად მოგცეს კარავი,
გზა გიწაღმართეს, მოწიწებით გაგგზავნეს მცხეთას _
მხურვალე ლოცვით აღგვიმართე სვეტი მარადი.

ქალწული ნინო, შვილობილი ზეციურ დედის,
და მიწა ესე, ი-ვერ-ია გვავალებს რამდენს,
ჩვენ გვეუწყება ღირსი გავხდით მქონე რა ბედის,
როცა ინებებს და ჩამოხსნის უფალი ფარდებს!

მიმოზა ჩარგაზია

წმინდაო ნინო

წმინდაო ნინო!
ევედრე ღმერთსა
კვლავ შეწყალებად სულთა ჩვენთათვის;
მეოხ გვეყავი

წინაშე უფლის,
რადგან ვირხევით ვითარც ლერწამნი.
აღგვინთე გულში
ძლიერი გრძნობა,
ამქვეყნად მხოლოდ სიკეთეს ვთესდეთ.
არს საზღაური
უცილოდ დიდი,
იმათი, ვინაც უფალსა ესვენ.
შენ გაგვანათლე,
აწც გვიწინამძღვრე,
უფლის კარამდე, დაო, წმინდაო!
ორსავ სოფელსა
გვფარვიდეს უძლურთ,
შენს მეოხებით ძალი ღვთისაო!
წმინდაო ნინო!
შენ გაგვანათლე,
შეგთხოვ განსაცდელს არიდო ერი,
გზას გვინათებდეს
ჯვარი ვაზისა,
ჯვარი შენს მიერ შეკრული თმებით.
შეგთხოვ წმინდაო,
გაუძეხ ქართველს,
მომავლის გზებზე ვით ნათლის სვეტი,
ჩაქრება? _ ისევ
აღინთოს, ენთოს,
ჩვენში ღვთივსათნოდ სანთელი ბევრი!

გიორგი ნატროშვილი

ჩვენ მადლი წმიდა ნინოჲს

თოვლში რომ ვარდი აყვავდა
ვით იწინასწარმეტყველე,
ეგ სული უფალს გაყავდა
მისივ დიდების მეტყველი.

იანვარს გარს ესამოსა
ვარდი შენ შუქთა მქრობელი,

დედოფალთ წარმოთქვეს ლოცვა,
იყვნენ იესოს მხმობელნი.

სულ ყველამ შენგან ისწავლეს
მირიანმაც და ნანამაც,
ამქვეყნიურნი იქ წავლენ
რათა განსაჯოს ზენამა.

რათა ლოცვებით ჩვენს მიწას,
ციურ მანანად ენამო,
შენ გენუკვით და შენი გვწამს,
განგვსაჯოს ქართვლის ენამო.

გვფარავდეს აწ და მარადის
ჩვენ მადლი წმიდა ნინოჲს,
საქართველოში სანამდის
იწურებოდეს ღვინოჲ.

ირმა ქურასბედიანი

წმიდა ნინოს ჯვარი

ფარავნის ტბას არხევს ქარი,
ზეცა ათასფერადდა.
მოდის ნინო, ვაზის ჯვარით
იბერიის მხსნელადა.
მოაქვს მადლი, სულით დიადს,
მთებს მოარღვევს ეული.
“ჭირნი დიდნი” ჯვარით სძლია
ღვთის განგებისეული.
ქმნილი “ხეთა კეთილთაგან”
სულიწმიდის ქნარია,
მოდის რწმენით, იმედი კი
მაცხოვარის ჯვარია.
მოციქული, მჭერმეტყველი,
“ჭეშმარიტად ხმობილი”
ქართლოსანთა გადამრჩენი,

ღვთისმშობელის დობილი.
მოდის, წმიდა ქალწული და
მოაქვს უფლის სანთელი,
ელის მიწა ქართული და
უკვდავების ნათელი.
ვაზის ჯვარის, თმებით წნულის
ბრწყინვალება ციური,
მართლის რწმენით, კერპთა მსხვრევა
მართლაც იბერიული.
განამტკიცა ჭეშმარიტად,
უსასრულო ნათელი.
“სახელითა უფლისათა”
ნეტარ იყოს ქართველი.

მამა სებასტიანე

წმინდაო ნინოვ

ქართველი ერის მომაქცეველო,
წმინდაო ნინოვ _ დედავ ქართლისა,
წარმართთა კერპთა დამამხობელო,
წყაროვ უკვდავო, წყაროვ მადლისა.

ტანჯვა-წამებით როს ქართლს მოხვედი
და იდგა ჟამი დაბინდებისა,
არსად ისმოდა უფლის სახელი,
უფლის დიდების, უფლის ქებისა.

შენ სცვალე ჩრდილი ნათელ სიუხვით,
ლოცვით განსდევნე ბუღი მტვერისა
და დაარწიე რწმენის აკვანი,
შენა ხარ დედა ქართველთ ერისა.

ქართლს მოეფინა ჭეშმარიტება,
შენი ღვაწლის და შენი რწმენისა,
ქართველს გაუჩნდა შენი იმედი,
უფლის მადლიან სიტყვის მთქმელისა.

როს მიძინების დაგიდგა ჟამი
და მიილია მიმწუხრი დღეთა,
ღმერთს ჩააბარე შენ ჩვენი თავი,
სულზე უტკბესო _ ქართველთა დედავ.

ზურაბ ზოიძე

წმინდა ნინო

ოჰ, მარადისო,
უწმინდესო დაო, კეთილო,
მახსოვრობაში ფრესკასავით გამოკვეთილო;

ამოდი
სულში სიზმარივით
და არ თავდები,
ღირსებისა და განათების ჩვენის თავდები;

ულამაზესო,
უმტკიცესო,
ნეტარყოფილო,
იმედიანო, მხიარულო, მწედ მოხმობილო.

მზით გაგვინათე
ნეტარ დღეთა ჩვენი ხარება,
რწმენა, იმედი, სიყვარული და... მწუხარება;

ო, მარადისო,
უწმინდესო, დაო კეთილო,
მახსოვრობაში ფრესკასავით გამოკვეთილო.

ია ჯიათელი

წმინდა ნინოს

(გამუსლიმანებულ ქართველთა ტკივილი)

...რისთვისაც შენ გზები ჰკეცე
წაგვიშალეს ჩვენ.
რაც იმ გზებზე წმინდა ჰყავი
გვიბილწავენ ჩვენ.
რაც გვმოძღვრე და გვიქადაგე
არ ვირწმუნეთ ჩვენც.
ჩვენთა მოდგმის სიბრიყვეა,
ვგმობთ საკუთარ ღმერთს.

სული შენი, საქართველოს
დიდი წილი მზე,
ფიანდაზად დაგვიფინე,
გადავთელეთ ჩვენ.
ვარდმაც მიტომ შეგიფარა,
დღე გვეხილა ბნელთ.
ვაზის ჯვარით მირონს გვცხებდი,
კერპს ვუდგამდით გველს.

სიყრმიდანვე ვალდებულო:
დედავ, მიწავ, ცავ,
ზეთისხილის რტოვ,
თვით მტრედო,
მარადმწვანე ბზავ,
ნოეს რწმენავ, მიგვასწავლე
კვლავ იესოს გზა.

დავიკარგეთ, დავიბენით,
ვერ ვპოულობთ მხსნელს,
ჯვარს ვეღარ ვთლით ჩვენივ ხელით,
გულში ვისვამთ გველს.
მოგვეპარა, შეგვიჩვია,
ნება-ნება გვკბენს,
მამულს ზომავს ცივ თვალებით
მიწას, მისად, _ ჩვენს...

ჩვენს ვთქვი, თორემ,
შენს წილხვედრილს,
შენზედ უფლის ძღვენს,
(გააოცე თავად ღმერთი),
რომ დაგვითმე ჩვენ,
ჩვენ კი მასზე სისხლი
ვღვარეთ,
მოძმისა და ძმის,
დავივიწყეთ იესო და
დაგივიწყეთ შენ...

გაორებულთ ჩამოგვაჭრა
მტერმა მხარი ჩვენ,
გვეკრძალება პირჯვრისწერა,
“ორხატობა” გვრევს.
სული ჩადრის ჩრდილში გმინავს
გული ჯვარზე კვნესს,
ტაძარ _ მეჩეთ არეულნი,
ვეძებთ მამა ღმერთს.

დროც დაბერდა მოლოდინში,
განა ვითხოვთ ბევრს?
წმინდა ნინოვ, მოგვივლინე
სასწაული შენ,
ველოდებით აღდგომას და
მოძღვრად ტაძრის მრევლს,
მოგვევლინე ვაზისჯვარით,
ღვთისმშობელო, ჩვენ...

ნინო წმინდავ, მე ვარ შენი
(დავრდომილი “ნანა”),
გულზე მაწევს ჯვარცმის ჯვარი
საქართველოს თანა...
დაგვიბრუნე ქრისტეს სჯული,
ტაო, ოშკი, ბანა,
გაქრისტიანებულნიც ჯვარს
ნენეს შიშით ვმალავთ...

საბრალოა, ვინც არ იცის
ისტორია თვისი,
და მით უფრო საბრალოა,
ვინც იცის და ჩქმალავს,
როგორ მინდა გამოვთალო

ძელი ძმათა ფიცის,
როგორ მინდა მოეძალოს
შვილნი ობოლ სხალთას,
მუსულმანი ქართველები
დაგვაბრუნეთ ჯვართან...

...მე არა ვარ მუსულმანი,
ძმა ვარ ქრისტეს ძმათა,
გავიძახი დაწყვეტამდე
იოგების ხმათა,
მაგრამ ერთი ვერას გავხდი
შთაგონებით ჩემით,
თუკი ჭრელ გველს ნიღაბს ავხდი
ჯვრის გადამწერ ხელით,
ესეც შემობრუნებაა,
ქრისტესაკენ ჩვენი...

ორ ცეცხლს შუა,
ქართველ მუსლიმთ
აგვიხილეთ თვალი
წმინდა ნინოვ,
მაცხოვარო,
შვილთა შენთა მამავ,
თქვენ გაგვიხსენ
სვეტიცხოვლის
და სამების კარი,
რადგან იცით რა ძნელია,
რაც გწამს მისი მალვა.

ციური ხეთერელი

ყოველ გაზაფხულს
წმინდა ნინოს

1.
ყოველ გაზაფხულს
თავფარავანთან,
რა გულისძგერით გელი!
ჰოი, როგორ მტკივა
მაყვლით
შენი გაკაწრული ხელი!

2.
როგორ დაგვიწერე
ალვისტანავ!
ის სასწაული პოემა,
რა ძალა გქონდა
უმწეოს,
ვეფხვს რომ შეგადარა
პოეტმა!

3.
მაგრამ,
ეს რა ვსთქვი, წმიდაო,
უმწეოვ,
მხოლოდ წამით,
რამდენი მწვერვალი დაიპყარ
შენი თმებით შეკრულ
ჯვარით!

4.
ამ ჯვარზე ვართავთ
რახანია,
მწარე ფიქრების გორგალს,
ის ხმაც
ორლესული ხმალია,
შენ რომ დაუწმინდე
გოგლას.

5.
რახანია
მკვიდრად თავს ვაფარებთ
შენს აშენებულ კარავს,
გვაჟრჟოლებს, ნინო,
სტრიქონები, _
შენ რომ დაუმშვენე ანას.

6.
ამ გაზაფხულზეც
თავფარავანთან
რა გულისძგერით გელით!
გვტკივა, დღესაც გვტკივა
მაყვლით
შენი გაკაწრული ხელი.

მარიამ ქსოვრელი-ხართიშვილი

წმინდა ნინოს ჯვართან

ნინოობას სიონში
გაიხსნება ჯვარი, –
გაიღება კარი
საქართველოს გულის, –
ო, როგორი სიცხოვლით
მოიწევა ჭავლი!

დატეული ლოცვა
ამდენი ხნის ჩვენი,
წმინდანს მიაქვს ღმერთთან
ახლობლობის ჩენით.

მოწიწებით მივალთ,
ერთ გვაქვს სალოცავი,
ჯვარით გამოზრდილან
ჩვენი წინაპარნი.

ღირსნი, სულნათელნი,

ჩვენთვის მვედრებელნი,
ყურის დამგდებელნი
დავრჩით, შევრჩით შვებით;

ჯვარი არის ჩვენი
ძლევის სვეტი მრთელი,
გვიღირს ქვეყნიური
მხოლოდ უფლის მშვენი:

საზრდოა ულევი,
მიგნებაა თმენით,
მოდის მოსავალი
ჭირის ნახვით ჩვენი.

მრავალჟამიერი,
ქართველობავ, თქვენი, –
ისმის გუნდის ტკბილი
სანეტარო ხმები.

ერთნაირი მზერით,
აზრით და იერით,
თითოდ მოკრებილი
იცქირება ერი.

ჩვენი სახე ერთი –
თავმდაბლობით, კდემით, –
დედა ნინომ იცის
გამოცნობა ჩვენი.

აქვე ვდგავართ ჯვრისა
თაყვანისმცემელნი, –
ნინოს ვაზის ჯვრისა,
ერთურთის დამცველნი.

ირმა ჭაბაშვილი

წმინდა ნინო

საქართველოს მოჰფენს ნათელს ნეტავ ვინო?
კავკასიის მთებს მოადგა წმინდა ნინო.
მთის მწვერვალებს დაჰფენოდა თოვლი თეთრად,
მან ვაზის ზვრებს ვერ უპოვა ბოლო ვერსად.
ცრემლმდინარი ლერწმით შეჰკრა თმისგან ჯვარი
და ეს ჯვარი დღესაც ნათლის სვეტი არის!
ქრისტეს მცნება ქართველთ გულში მიმოფინა,
თავის წმინდა სავანედაც საქართველო იმყოფინა.

მიხეილ ჩხეიძე

წმინდაო ნინო, ნათლისმცემელო ივერიისა

წმინდაო ნინო, ნათლისმცემელო ივერიისა,
შენ მოგვანიჭე ცხოვრების წყარო დაუშრობელი;
შენ მფარველ იქმენ საუკუნოდ ქართველ ერისა,
შენ, ვისაც მარად გიფარავდა თვით ღვთისმშობელი.

წმინდაო ნინო, ნათლისმცემელო ივერიისა,
შენ ხელთა გეპყრა სიყვარული ვით კვერთხი მოსეს;
თვით სიყვარული იქცა სახედ ვაზის ჯვარისა,
წმინდა ხელებმა ოდეს ქალწულის თმებით შემოსეს.

წმინდაო ნინო, ნათლისმცემელო ივერიისა,
გიხმობს ქართველი სიტყვის მსახურთა თანამოსაგრეს,
ანდრიას ღვაწლის წარმართება თავს იდევ ღირსად;
განკრთეს ყოველნი, სულიწმინდის ქნარად შეგრაცხეს.

წმინდაო ნინო, ნათლისმცემელო ივერიისა,
შენ განგვინათლე გული ცოდვისკენ მარად მსწრაფველი,
გვესმას ხმა შენგან სულიწმინდის ტკბილი ქნარისა
და შენი ლოცვით განძლიერდეს ყველა ქართველი!

ნათია გრიგალაშვილი

* * *

,,მოირბინენ ყოველნი კიდენი ქართლისანი
და ყველგან მოსრნენ კერპთა ნაკვალევი”
თანამოსაგრეა – სინათლე გზახსნისანი,
შვების მომლოდინე _ სული ნაწვალები.
ჯავახეთს მოჯარულა ფიქრები ცისხელა,
ფარავნის ტბასა ზედა ცა მიწას დასტირის.
ურბნისში ხის ტოტი სინაზით ირხევა,
სხვა მზერა იმსჭვალვის, სხვა გზა და ნაპირი,
უხვად მოირკალა სულის ფარდაგები,
ვაზის ჯვარით ხელში რწმენა შემოიწნა,
ნინო მოდიოდა წმინდა ქადაგებით,
განმანათლებელი საქართველოისა!..

ირაკლი ასლანიკაშვილი

წმინდა ნინოს

ხეთაგან კეთილთა, ნაყოფო კეთილო,
სულისა წმინდისა ჭურჭელო ზიარო,
ღვთისმშობლის კურთხევით ჩვენთვის მოვლენილო,

მოხველ და ქართველნი ქრისტეს გვაზიარე.

წარმართთა სიბნელის სინათლით მძლეველო,
მეტოქევ არმაზის, გაცის და გაიმის,
მართლმადიდებლობის აკვნის მარწეველო,
შენს მერე მრავალი დრო-ჟამი გაივლის.

მრავალჯერ გამოსცდის "მირიანს" განგება,
ბევრჯერ წაერთმევა სინათლე თვალისა,
მაგრამ დაცემული ყოველთვის აღდგება,
სანამ ჰყავს მფარველად მას ჯვარი ვაზისა!

ნინო ბოქოლიშვილი

* * *

შენი წყალობით შემოსძახა ერმა ალილო,
ვაზის ნაჟურო, სპეტაკ სითხედ სულში ჩაღვრილო,
შენ უფლის სახევ, ხატო, მაყვლის ჩრდილში გაზრდილო,
ლერწო, ყვავილო, ზაბილონის მკერდზე გაშლილო.
მზევ, მირიანის თვალის ჩინო, ნანას მანდილო,
ღვთისმშობლის მადლო, ჩვენს მიწაზე ნინოდ დაღვრილო.

ვახტანგ მელიქიძე

მოციქულთა სწორს წმინდა ნინოს

როცა ქვეყნად:
შუკებსა თუ
სახლთა შინა,

ჩაუქრობლად
წარმართობის
ცეცხლი წვიმდა,
მარიამის წილხვედრ
მხარეს,
წმინდა მიწას
ღვთისმოსავი
წმინდა ნინო
მოევლინა!
ნინო ერქვა, როცა მიწას
ქართლოსისას
ფეხშიშველამ ფეხი
კრძალვით დააბიჯა,
შემდეგ საქმით, დიდი საქმით
რაც მან იქმნა,
“წმინდა ნინო” შეუწონა
ერმა სხივმნათს!

.....
მის ჯვარს იცავდა
ქვეყანა ოდით,
წმინდა ქალწულის
ხელით ბოძებულს;
ასე იარა ერმა აქამდე,
მოციქულთ სწორო,
შენის კურთხევით,
საქრისტიანოს ქართულ მიწაზე
სახება შენი დარჩა მარადის!

.....
რა ბევრს მავალებს
რომ ვარ ქართველი
და ენას ჩემსას
ჰქვია ქართული,
არ შემიცვლია
გვარი-სახელი,
ისევ აქა მაქვს
მიწა-მამული!
შენ გიძევს წილი,
შენ, ღვთის მოციქულს,
უფლის მცნებათა
ჰანგზე რომ გვზრდიდი,
აკვანში მწოლს თუ
ზრდასრულ მოწიფულს

იმ ათი მცნების,
იმ ათი სიბრძნის
ჰქონოდა მუდამ
კრძალვა და რიდი!

მზია ოდიაშვილი

შენ რომ არა,
ვინ გვამცნობდა ნამდვილ რწმენას

ფეხშიშველამ გადმოლახე შორი გზები
და ნაზ ტერფებს გისერავდა ბასრი ქვები,
უფლის რწმენით მიიკვლევდი უცხო ფერდობს,
ვაზის რტოზე მოხვეული გრძელი თმებით.
უსასრულოდ გაიჭიმა ლურჯი სივრცე,
გაბრკოლებდა სიცივე და მწველი სიცხე,
არ დანებდი, არ შეშინდი მძიმე წამით,
გზას იკვლევდი ხან დღისით და ხანაც ღამით.
ქარი ურცხვად გიკოცნიდა სხეულს დაღლილს,
ხანაც გგლეჯდა მთელი ძალით რძისფერ მანდილს,
როგორც იყო, მიაღწიე ნატრულ ადგილს,
მაყვლის ბუჩქთან ჩაგეძინა მძიმედ დაღლილს.
თითქოს ჩუმი ფიქრებიდან წარსულს ვხედავ,
უღრუბლო ცას როგორ ეკვრის მძიმე ნისლი,
ჩამობნელდა, ისე ძლიერ ჩამობნელდა,
წარმოსახვაც კი მაშინებს უკვე მისი.
აირია სულში ფიქრთა ხვეულები,
შენ რომ არა, ვინ გვამცნობდა ნამდვილ რწმენას,
შენ რომ არა, დავრჩებოდით წარმართებად,
ანდა როგორ შევიძლებდით გადარჩენას.
ბრაზიანად აბრიალებს კერპი თვალებს,
მაგრამ ახლა ვერ დაგვაკლებს ვეღარაფერს,
სანამ ჩვენში ერთი ძირი ვაზი ხარობს,
გულში რწმენას ვერაფერი ვერ დაადნობს.

დარეჯან ხვედელიძე

ნინოობა

ცოდვები დახვავდნენ
შეუვალ მთებივით...
მოვიკლავ წყურვილებს
ლოცვებით ნაკლოვანს...
მზე სხივებს იკვეცავს
ქალწულის თმებივით...
ვაზის ჯვრით დალოცავს
მცხეთაში მაყვლოვანს...
მიყვარხართ ქართულო
ზეცავ და ქედებო!
ქალწულის ხატის წინ
ვილოცო მინდა მე...
დედათა მონასტრის
მორჩილო დედებო!
მთლიანი სამშობლო
შესთხოვეთ წმინდანებს.
რწმენაში მოქცევა
ძნელია წარმართთა,
მოვიდა ნინო და
წყვდიადი განათდა.

მაია ტყემალაძე

მადლითმოსილი ნატერფალები

ქრისტეს მოციქულო სანატრელო ნინო, გამოიხსენ
ყოველთა ურვათაგან სამწეონი შენნი...
(წმიდა ნინოს დაუჯდომელიდან)

კურთხეულ მიწას დღესაც აპურებს,
მადლით მოსილი ნატერფალები,
ვით დილის ცვარი ვარდს _ მზე ნაპკურებს,
ხატს ასხივოსნებს წრფელი თვალები.
ღვთაებრივ ნათლით წმიდა ქალწული,
ნაზი, ვითარცა ველის სოსანი,
მთებს შეეჭიდა, განვლო გზა-წვრილი,
თმით შეკრა ჯვარი პატიოსანი
და მაყვლოვანში დაიბინადრა,
მიმოაკმია სუნი სუსამბრის,
კერპებისათვის ავად გაავდრდა,
მცხეთა შეფერდა ფერად ცისკარის.
წამწამთა ჩრდილში მზემ დაივანა,
ცა მოიკაზმა ჯვარსაწერ ფატით,
მტკვარმა ცოდვილი ერი განბანა,
გული დაამდა ახდენილ ნატვრით.
ტკბილად შეირგო, დედის რძის დარად,
მიწამ ქალწულის დამწყალობება,
ჩახმატკბილობდა მთასა თუ ბარად
ანგელოზებრი დასის გალობა
და სულიწმიდით შობილ ქვეყანას,
გადმოეფრქვია მადლი ღვთიური,
მცხეთას ამოზრდილ უჭკნობ ყვავილნარს,
მზე მოეფინა მარადიული.

მზისადარ ნავროზაშვილი

წმინდა ნინოს გზა

მაშინ ნათელში გაბრწყინდა
მაყვლოვანი.
მაშინ საუკუნე
ოლარით შეიმოსა;
ძიძასავით იღიმიან ფოთლები
მხცოვანნი:
“ამ მკლავებით ვურწიეთ
ნიავი ნინოსო”.

“ნენანა” მოისმოდა
გეთსიმანიიდან,
იქვე, სად უფლის თეთრი
კვართი დაფალეს,
ცრემლებით, ლოცვით და
ჯვარით მივიდა
ქალწული _ რჩეული
დედა-დედოფალი;
მოციქულთა ტოლად
იოხა და დაშვრა.
მერე, ბოდბის წყალთან
სული ჩამობანა.
დედასავით შფოთავდნენ:
ფოთლები მაყვლოვანი:
“ჯვარი როგორ ზიდოსო
ასე სიფრიფანამ”.
ღრუბლებმა ქალწულივით
განასკვეს ნაწნავები,
ვარსკვლავებმა ცაზე
ჯვარი გამოსახეს.
მას მერე, უფალო,
სიხარულით ეწამება
შენთვის,
წმინდა ნინოს სამოსახლო.

ლია ჭაბაშვილი

წმინდა ნინო!

კაბადოკიიდან, ქალწული ნინო,
როგორც ანგელოზი, წმინდა სერაბიმი,
ცოდვილ საქართველოს მხსნელად მოევლინა,
კერპები დაამსხვრია, ქრისტე დაამკვიდრა.
წმინდა ნინო!
გზა განვლო უდაბური, მტანჯველი, მტკივნეული,
ღმერთის შემწეობით ჩვენამდე მოაღწია,
განკურნა, ნათელი სცა, მკვდარი გააცოცხლა,

ჭეშმარიტ მოძღვრებას ერი აზიარა.
წმინდა ნინო!
ღვთის მადლი მოჰფინა, ბნელეთი გაანათა,
სულები გააცოცხლა, უფალთან აზიარა,
საწყისს მარადიულს სიმტკიცე შთაბერა _
ერის უკვდავებას ფუძე ჩაუყარა.
წმინდა ნინო!
თმები შეიკვეცა, შეკრა ვაზის ჯვარი,
ქართველ ხალხის სულში, სულის ხსნად შთანერგა,
დღემდე მოაღწია, ქართველი _ ქრისტიანი,
გულის გულის გულში, ფაქიზად ევლება.
წმინდა ნინო!

ანა წერეთელი

ზედაზნიდან

რწმენის რაშით
მოფრინავდა
მოლიპულზე,
ყინვა-ქარში,
ასურეთის
ტურფა ვარდი
ლეგენდების
ქვეყანაში.
მსუბუქობდა
მრუმე ღამეც,
მიდიოდა
მარტოდ გზაზე,
არცა ხმალი,
არცა შუბი.
მაშ, რა გაკანკალებს
ზადენ?!
შენც გაიამ
ძმებთან ერთად,
შეგარყია შფოთვის
ფესვმა,
ზედაზნიდან

მინავლული,
თქვენი კვნესა
შემომესმა...
რით დაემხვეთ
,,უძლეველნი”
ვინ მოგარგოთ
რისხვის მსჯავრი,
თქვენ წინ,
ნორჩი ქალი იდგა,
თმით შეკრული
ვაზის ჯვარით...

გიული ჩქარეული

ნინოს ჯვარი...

წმინდა ნინოს ნაკვალევზე დავდგი ფეხი,
მიწის ყოველ გოჯს ატყვია ცრემლის კვალი,
სულზე მძაფრად შემომეჭდო რწმენის წნეხი,
ხარბად დავცქერ წმინდა მიწას, ხარობს თვალი.
ამამაღლა ჯავახეთმა ფიქრის ფრთებით,
რწმენით ვცოცხლობ, ამ რწმენითვე დავიმარხო,
ტანჯვით, ცრემლით გამოვლილი ნინოს გზები,
ღმერთო, გვედრი, მომეც ძალა დავინახო.
ჰორიზონტზე მზე შეაღებს უფლის სარკმელს,
ფარვანის ტბას შეერევა ნინოს ცრემლი,
ვაზის ჯვარი თვითონ ანთებს სანთელს ჩამქრალს,
ფოკას ტაძრად ლოცვად დგება რწმენით მრევლი.
ფარვანის ტბა მიაცილებს ღრუბლის ლაშქარს,
დაუხატავს ბილიკები საოცარი,
უჩვეულო თბილი გრძნობა გულში გალღვა,
ცრემლი წამსკდა, სულთან ნაოხ-ნაომარი.
ვლოცულობ და გულს მიამებს ცრემლის ღვარი,
ნათლად ვხედავ, რჩეულნი ვართ თვითონ უფლის,
შემოსულა რწმენის მკმევი _ ნინო ჯვარით,

ქრისტეს შვილთა გამრავლებას ზეცას უთვლის.
მიიკვლევდა ბილიკთ ტანჯვით, ცრემლით თვალზე,
ხალხს კურნავდა, აღავსებდა რწმენით უღმრთოთ,
ეშვებოდა უფლის ლოცვა ეკლის კვალზე,
სიძლიერე ეძლეოდა რწმენა უჭკნობს...

აკაკი გორგიაშვილი

წმინდა ნინო

ვაზის ჯვარით ხელში
მოდიოდი ნინო, _
ჩვენო სიამაყევ,
ჩვენო თვალისჩინო.
ქრისტეს კვართის გვერდით
დაიგებდი კარავს,
ქადაგებდი უფალს
და კურნავდი მრავალს.
ბოდბის თეთრ ქვას შენთან
დავაბარებ ამბავს, _
საქართველოს შენით
ღმერთის მადლი ფარავს.

მაია დიაკონიძე

წმინდა ნინოს

ფერო ფერთაო,
ვარდის სადარო,
შენს ლამაზ სახეს
რა შევადარო?
წმინდა დედაო,
მხსნელო ქართველთა,
ეკალო, რისხვავ,
ურწმუნო მრევლის,
შენს ამაგს, სიბრძნეს,
შენს მოთმინებას,
შენს შემართებას
ისევე ველით!
გამოვატარეთ
საუკუნეებს
შენი ჯვარი
და სახება შენი.
წმინდა ქალწულო,
უსათნოესო,
ვაზის რტონი რომ
გიპყრია ხელში,
ქართლის დიდების
შენ ხარ მოსურნე,
შენ ააყვავე მამული ჩვენი!
კვირტადქცეული საქართველოა,
კვირტადქცეული ამაყი ერი,
ჩვენ მუშაკნი ვართ სამოთხის ბაღის
და მზის ამოსვლას ვენახში ვხვდებით!

მამა ბენიამენი ჩიხორლიშვილი

წმიდა ნინოს!

ჰოჲ, საყვარელო მოწაფევ
დედისა ღმრთისა, ნათლისა.
ვაზისა ჯვარის მიმღებო,
მოსაქცეველად ქართლისა.

საუფლო კვართთან მოხვედი,
არმაზის კერპნი დალეწე...
მათ ნაცვლად ჯვარნი აღმართნე,
პური არსობის – გალეწე.

დაიდგა სვეტი ცხოველი,
წმიდა ლოცვითა შენითა.
მოგვეცა სული, ცხოველი,
საღმრთო მოძღვრების ჩენითა.

ღვაწლითა შენითა ვხარობთ,
სწორ ხარ – ელენე დედოფლის.
“სულისა წმიდისა ქნარო”,
კურთხეულო თვით დედუფლის.

გვინათლისმცემლე კვლავაცა,
ემბაზო ივერთ ერისავ,
მოგვეც რა რწმენის ძალაცა,
სინათლე შენგან გვეღირსა.

შოთა ტოგონიძე

წმინდა ნინო

შემოვიდა ვაზის ჯვარით,
ახლაც მისი მადლი გვმოსავს;
ერი გამიქრისტიანა
და ცა გამიანგელოზა.
სიყვარული იყო თვითონ,
ყველას გულში ჰპოვა ბინა;
აღასრულა უფლის ვალი
და ბოდბეში მიიძინა.

ანტონ გაგუა

წმინდა ნინო

თმებში გამოწნილი ჯვარით,
ქართლის მომქცეველო ნინო,
კერპებს ფარნავაზთა გვარის,
სისხლად შეაგებე ღვინო.
სიტყვის მომცემელო უფლის,
ზვარაკ შეეწირე როცა,
ახლაც საქართველოს უვლის,
შენი მოტანილი ლოცვა.
ღვთისკენ ივერიის დედავ,
მეოხ მარიამი მიწის.
ლოცვად გევედრები, ვბედავ,
ხატთან დამდებელი ფიცის.
წმინდა მოციქულთა კვალად,
პურის მომცემელო, ვაზის.
ერთი სიცოცხლე მაქვს ვალად,
მხარზე ანგელოზი მაზის.
წმინდად დავიტიე გულში,
ნინოს მოტანილი სიტყვა,
ხორბალს მივაბარებ ხნულში,
ქრისტე სახარებით ითქვა.

სარჩევი

წმინდა ილია მართალი (ჭავჭავაძე) _ ქართველი ერი და ღვაწლი წმინდა ნინოსი

უცნობი ჰიმნოგრაფი
იოანე ზოსიმე
არსენ ბულმაისიმისძე
უცნობი ჰიმნოგრაფი
ხალხური
ვახტანგ ორბელიანი
აკაკი წერეთელი
იოსებ დავითაშვილი
ვაჟა-ფშაველა
გრიგოლ რობაქიძე
შალვა ვარდიძე
იოსებ გრიშაშვილი
დარია ახვლედიანი
შალვა კარმელი
ნიკო სამადაშვილი
ანა კალანდაძე
ფრიდონ ხალვაში
ნოდარ დუმბაძე
მუხრან მაჭავარიანი
ნუნუ კერესელიძე
ზვიად გამსახურდია
მამუკა სალუქვაძე
ჯანსუღ ჩარკვიანი
ვანო ჩხიკვაძე
მეუფე თადეოზი იორამაშვილი
ჯემალ ინჯია
მარიამ წიკლაური
მაია მიქაია
რეზო ესაძე
ფარნაოზ რაინაული
ცირა ყურაშვილი
ერეკლე საღლიანი
ლელა ცუცქირიძე ...
მიხეილ ჩაჩუა (მიხა კოლხი)

თამარ ლომიძე
შოთა ზოიძე
ნინო ბაქანიძე
მალხაზ მაჭავარიანი
ნუკრი ბერეთელი
ნინო ქადაგიძე
ანა ერისთავი
მურად მთვარელიძე
იამზე არველაძე-ხეცურიანი
რონა ბუბუტეიშვილი
ელგუჯა ლებანიძე
დავით ტიგინაშვილი
ალექსანდრე დიდებაშვილი
ვაჟა ოთარაშვილი
გივი ილურიძე
ნოდარ არდოტელი
თამარ ფარჩუკიძე
ზოია ვაშაკიძე
ანა სულხანიშვილი
ლინა ბარათაშვილი
გივი გოგნაძე
ნათია მახათაძე
ნუნუ ძამუკაშვილი
მარიამ დედაბრიშვილი
ვიკა მჟავანაძე
მამუკა დემეტრაშვილი
ცისანა თვალიაშვილი
ლალი ყვარელაშვილი
არჩილ მაღლაკელიძე
მედეა რატიანი
მიმოზა ჩარგაზია
გიორგი ნატროშვილი
ირმა ქურასბედიანი
მამა სებასტიანე
ზურაბ ზოიძე
ია ჯიათელი
ციური ხეთერელი
მარიამ ქსოვრელი-ხართიშვილი
ირმა ჭაბაშვილი
მიხეილ ჩხეიძე
ნათია გრიგალაშვილი
ირაკლი ასლანიკაშვილი
ნინო ბოქოლიშვილი
ვახტანგ მელიქიძე

მზია ოდიაშვილი
დარეჯან ხვედელიძე
მაია ტყემალაძე
მზისადარ ნავროზაშვილი
ლია ჭაბაშვილი
ანა წერეთელი
გიული ჩქარეული
აკაკი გორგიაშვილი
მაია დიაკონიძე
მამა ბენიამენი ჩიხორლიშვილი
შოთა ტოგონიძე
ანტონ გაგუა